

მ რ ი

№ 1



შ ი ნ ა ა რ ს ი:

ჩვენს თეატრში— ჩვენი რა პრალაია! —
ელისა; ვასკელაფი—ი. გრიშაშვილისა;
ბა—მ. გარიყულისა; შინაური მიმჩინილვა;—ფინ-
ლანდია—გ. გვაზავასი; იუ. ჯავახიშვილის ლექ-
ცია—ბ; მთაშა ჭოქვა—ბაჩანასი; მოკლე მიმჩინი-
ლვა ქართულ შწერლობის უძველეს დროიდან—იპ.
ვართაგავასი; მთის აწივი შამილი—ა. ფრო-
ნელისა;

კვირა 7 თებერვალი

სახლიტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი

1910 წ.

ჩვენი თეატრი

დღეს ჩვენთვის ცხადია, რომ ქართულ თეატრს სული ჩაედგა იმ დროს, როცა საქართველოს არსებობის საქმე სათუო იყო და საუკუნოებით დევნილი ხალხი, მტრებით ირგვლივ გარს შემოხვეული, ქანც გამოლევული გარეშე შველას ეძებდა. უკვე 1791 წელს თ-მა დ. ავალიშვილმა დასწერა დრამა „თეიმურაზ მეფე“. აგრეთვე ამავე დროს ითარგმნებოდა სხვა და სხვა პიესები. ერთი სიტყვით, თეატრს, როგორც ბევრს სხვა საკულტურო საქმეს საძირკველი ჩაეყარა, მაგრამ გაფურჩქნა აღარ დასცალდა. დადგა შავ-ბნელი დრო ჩვენი არსებობისა, შეწყდა ძაფი ძველი კულტურული მსვლელობისა, შეფერხდა ათას წლობით მომდინარე კულტურული მუშაობა. ვინც კაცობრიობის ისტორიას დაკვირვებია, იმან კარგად იცის, თუ რაოდენი უჩინარი, შეუჩერებელი მუშაობის შედეგია ამა თუ იმ ერის კულტურა. ისიც კარგად იცის, თუ რა ნაზია ეს განძი და რა ადვილია იმის შებლაღვა, შეჩერება, რაც ასეთი ტანჯვით და წვალებით შეუქმნია ხალხს თავის ხანგძლივ არსებობის დროს. ჩვენ საუბედუროდ სწორედ ეს დაგვემართა. ხანგრძლივ ნაღვალის შედეგები განადგურებას მიეცა, ერის არსებობა ძირიან-ფესვიანად შეირყა, ერი განსაცდელში ჩავარდა და მასთან ერთად, რა საკვირველია, ჩვენი თეატრი არამც თუ არ გაიფურჩქნა, პირველი მისი ნაბიჯი დავიწყებასაც კი მიეცა და დღესაც ბევრი ჩვენში ქართულ თეატრის დაარსებას მიაწერს ვორონცოვის ქველმოქმედებას. საქმე საკუთარ ფეხზე დაყენებული შემდეგში სამოწყალოდ გადაიქცა. და მის შემდეგ არ ელირსა ქართულ თეატრს ისე დამკვიდრება, რომ მის არსებობას შიში არ მოელოდეს. მიუხედავად ათას გვარ გაჭირვებისა, ქართულმა თეატრმა დიდი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის თვითცნობიერების გამოღვიძებაში. მისნი მუ-

შაკნი დიდი წვალეებით და ვაივაგლახით ჩაებლაუტენ მათთვის საყვარელ საქმეს, შესწირეს მას თავისი ნიჭი, ძალა და დღემდის საქმე მოიყვანეს. მაგრამ დღეს?


დღეს ტფილისის თეატრი ისიც აღარაა, რაც ხუთი წლის წინედ იყო. დღეს ის განსაცდელშია, მას ახალი ძალა, ახალი წეს-რიგი და მოწყობილება ესაჭიროება. ჩვენ არ შევცხებით დაწვრილებით, თუ რა ზომებია საჭირო, რომ თეატრი გამაგრდეს და გაცოცხლდეს.

ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს დრამატიულ საზოგადოების მთელი გამგეობის არჩევნები. მართალია ჩვენ ცხოვრებაში ბევრი ისეთი ძალა შემოიჭრა, რომელთა დათრგუნვა კერძო ჯგუფს არ შეუძლია, მაგრამ ისიც მართალია, რომ შეგნებულს და მუყაითს წრეს ბევრის გაკეთება შეუძლია. ამიტომაც ჩვენ საზოგადოებას მართებს დიდი დაკვირვება არჩევნების საქმეში. საჭიროა ისეთი პირნი ამოვირჩიოთ, რომელთაც ესმით დღევანდელი მდგომარეობა და ამისდა მიხედვით მზად არიან შესაფერი მსხვერპლი შესწირონ საშვილი-შვილო საქმეს.

ჩვენი რა პრალაია!

ეს მეორე მაგალითია უკვე ჩვენ ცხოვრებაში, რომ ინტერნაციონალური ბანდა აშშორებულ წუმპეში ცურაობის დროს შეხვევით ავსებს ქართულ საზოგადოებას. მაგრამ ქართული საზოგადოება მაინც არა სცილდება ამ ვინ იცის საიდან გადმოვარდნილ ბანდას და ვერ მოუხერხებია ერთი მადლიანი მუჯღლუგუნით მათი გაძევება ჩვენი საზოგადოებრივი სფეროდან. დარწმუნებული ვარ, კიდევ განაგრძობენ მათთან „საერთო საქმეთა“ გაძლოლასა და მათთან ძმობასა და სოლიდარობას.

ქართულ-რუსულ პრესაშია დაბუდებული განსაკუთრებით ეს ინტერნაციონალური ბანდა. ჯერ



იყო და ბათომში ასტეხეს ერთი აურ-ზაური და მოსწამლეს ატმოსფერა ვილაც ალიბეიმ და მისმა მსგავსებმა; ეხლა კიდევ მირზოევი, ლევან ყიფიანი, ეს ქართველობისაგან და კიდევ ბევრკარგ თვისებისაგან გაფხეკილი ქართველი, ვილაც ნაგურსკი და მათი მსგავსნი ყურყუმელაობენ თავიანთ ჭუჭქში და ჩვენცა გვსვრიან. მათგან ატეხილი აურ-ზაური ჩვენს პრესსაში უნდა გადმოვიდეს, იმ რუსულ პრესსაში, რომელსაც თავზედ უდვია რუსულ ენაზედ ჩვენი ინტერესების დაცვა. მათგან გამოწვეული შფოთი ჩვენს თეატრში უნდა გათავდეს მუშტი-კრივით, მათგან შექმნილიმა ატმოსფერამ ჩვენი საზოგადოება უნდა მოსწამლოს!

მე არ შევეხები მათ ზნეობრივ ავლა-დიდებას. ქვეყანა იცნობს ლევან ყიფიანს, რაც მწერალია და რაც პუბლიცისტი. ამას წინაღ მასთან და მის მსგავსებთან კამათი გვქონდა და კიდევ უფრო გავიცანით, რაც იყო. ეს ის ვაჟბატონია, რომელიც მუდამ გაიძახის „სიმართლეზედ“, „სინათლეზედ“, „სისწორეზედ“ და სხვა ამგვარებზედ, მაგრამ როცა ათასჯერ დაუმტკიცებენ ტყუილსაც, სიბნელესაც, სიმრუდესაც,—დიდად არა სწუხს,—ისე დადის მეორე დღეს ქუჩაში, თითქოს იუბილეი გადაეხადოს თავისი „პატიოსანი“, „სწორი“ და „ნათელი“ ხანგრძლივი მოღვაწეობისა. იგი რომ არ დაერიდებოდა არაფერს, მისი სინიღისისა და კალმის ყოველმხრივ მიმართვა რომ შეიძლებოდა,—ეს ყველამ იცოდა.—მაშ რომელი ქართველი დაუჯდებოდა ხაჩატუროვს რედაქციაში ქართველებისავე სალანძღავად ბრალიანზედ თუ უბრალოზედ,—ხან ავტორის „რწმენათა“ თანახმად, ხან წინააღმდეგ ამ „რწმენათა“—სწორედ ისე, როგორც მირზოევის ხელ-შეკრულებაში უდვია თავს უცხოელ მრეწველობის „დაცვა“ კავკასიაში,—ხან როგორც პროკურორს და ხან როგორც ვეჟილსა!—ნაგურსკი ვინდა? ან სხვანი მათი მსგავსნი? რა სახსენებელია მათი ან სახელი, ან მწერლობა? თუ ვინმე იცნობს ამ ვაჟბატონებს მთელს საზოგადოებაში,—როგორ იცნობს?—არავინ კარგის მხრითა,—და თუ არავის არ ეგულვება იგინი არამც თუ არისტიდებად, არამედ უბრალო პატიოსან კაცებადაც,—ერთი მითხარით, რა ანგარიშით მიჰყავდა იგინი „Закавказье-ს“ თანამშრომლებად?—რა მოხელეა ეს საერთაშორისო ბანდა ქართულ გაზეთში, თუ გინდ რუსული ასოებით დაბეჭდილ ქართულ გაზეთში?—რა არის და ვისია აგრეთვე „Новая Рѣчь-ი?—თუ იგი ქართული გაზეთია, რა დარჩენია იქ იმ საერთაშორისო ბანდას? რად ლაპარაკობს იგი ყოველთვის ისეთის რიხით, თითქოს მთელი ქართული აზრის კონცენტრაცია იქ იყოს, თითქოს მისთვის მიენდოს მთელს საქართველოს ვეჟილობა მისის სახელით ლაპარაკისა! ვინ არიან ეს „ახელი“ „ტ—ძე“ და სხვანი, რომელთაგან ზოგი „Голосъ Кавказа“-სთან

საერთო ნიადაგს ეძებს სამუშაოდ, ზოგიც თავისი ქამელეონობითა, უკბილო პოლიტიკანობითა არა-მკითხეობით მთელს საზოგადოებას აშფოთებს?

დიახ, თუ ქართული გაზეთებია,— იქ არც საერთაშორისო ბანდას უნდა ჰქონდეს ადგილი, არც მთელი საზოგადოებრივი აზრის გამოთქმა შეიძლება ერთის პირით, როდესაც ეს პირი არავითარ მიმართულებას არ წარმოადგენს.

არც „Еженедѣльное Обозрѣние“-ს შევეხები. ასეთის გაზეთებით სავსეა მთელი ევროპა. იგი ყვეთელი პრესის პირველი მერცხალია საქართველოში. ჩვეულებრივი ბინძური საქმეა. ვინც მოჰკლა ძაღლი, იმან გადაათრიოს,—ჩვენი საქმე არ არის მათთან კამათი და ბაასი.—ცნობილია ეხლა, ვინც შექმნა ეს გაზეთი და ვინც შეჰკრა კონტრაქტი უცხო კაპიტალისტების წარმომადგენელთან. მაგრამ რასა ჰფიქრობდნენ ისინი, ვინც არა იცოდარა არც ამ გაზეთის დანიშნულებისა და არც ამ კონტრაქტისა?

რათ უნდა შესცდნენ ესენი და რათ უნდა იმუშავონ ლევან ყიფიანთან და ნაგურსკისთან ერთად, რა ძალა ადვიათ და რა საინტერესოა მათთან მუშაობა? ხომ იციან, რომ არც იდეურად, არც სხვა მხრით იგინი მათნი ამხანაგნი არ არიან და რად უნდა გაისვარონ მათის მიკარებით თავიანთი თავი და ჩვენც რად უნდა გავგვარონ?—რომ უსათუოდ აყალმაყალი ატყდება ასეთ ადამიანებთან ამხანაგობის გამო, ხომ იციან?

ერთი სიტყვით, მონასტერი აირია: სხვებმა, საერთაშორისო ბანდამ სისაძაგლე ჩაიღინა, ჩვენ კი ერთმანეთი უნდა ვლანძლოთ და ერთმანეთს ცხვირპირი უნდა ვამტვრიოთ ჩვენსავე საზოგადოებაში,—აი ნაყოფი ჩვენი ამხანაგობისა საერთაშორისო ბანდასთან ქართულ-რუსულ პრესსაში!

განვიმეორებთ, ამ პრესსამ საშინელი ატმოსფერა შექმნა ჩვენ ცხოვრებაში. საზღვარი უნდა დაედვას საერთაშორისო ბანდის ფარფაშს. საჭირონი არ არიან ვინ იცის საიდან და როდის მოსულნი,—მათ არც ჩვენი ცხოვრება იციან და არც ჩვენი ჭირი და ვარამი აინტერესებთ. საჭირონი არ არიან აგრედვე „ტიფლისკი ლისტოკიდან“ გარდმოხვეწილი ემიგრანტები. სადაც უნდათ იქ დაიარსონ თავიანთი კოლონიები, ხოლო ჩვენ ნუ გვაწუხებენ ნურც რუსულ პრესსაში და ნურც ქართულში. პატიოსანნი რუსულად მწერალნიც ერიდონ მათ, თორემ რაც მოხდა ის რა არის,—ეს ზარხოშობაა,—ქეიფი მერე იქნება! ჯერ დაიცადონ, როდესაც მათი მოღვაწეობა სრულ ნაყოფს გამოიღებს, როდესაც ისინი კიდევ უფრო მკვიდრად მოიკიდებენ ფეხს ჩვენს საზოგადოებაში და მათი გაიძვერობით ჩვენ უნდა ვასხათ ერთმანეთს ლაფი გამუდმებით და ერთმანეთს დავერიოთ მოსისხლე მტრებივით,—



ჩვენება

(ს ი ზ მ ა რ ი.)

აბა მაშინ ვიხილავთ მათთან სოლიდარობის შედეგებსა!

რაც გინდათ სთქვით, — ეს ჭეშმარიტებაა და ჭეშმარიტებად დარჩება, სანამ იმ ბანდას და ბანდაში ჩაწერილ პრესის „სინდიკალისტებს“ კარს არ ვუჭვენებთ ჩვენი პრესიდან.

აღაროდელი.



ვარსკვლავი

— : —

ერთად ვიყავით ხეივანთ შორის, ანცი ნაკადი გვიმღერდა მაყრუოს, თავს გვევლებოდა სიო მთა-გორის, კოცნით მამცნობდი ყვავილთა ჩურჩულს

* * *

ცას შევსტკეროდი... იქ მთვარე სრული ჩაჩხუტებოდა ვარსკვლავთა ლაშქარს, — შენ კი ოცნების ვნებით აღძრული ყურს ჩასძახობდი ამ სიტყვებს ჩემს ქნარს:

* * *

— ქნარო, მითხარი რაა ედემი?.. მე კი არვინ მწამს დღეს შენსა გარდა, კუბოს კარამდე ჩემი ხარ, ჩემი!.. შენი მგოსანიც მიყვარს... მიყვარდა!..

* * *

განთიადისას დამშორდი მიჯნურს. ამაყი მთვარე მიეცა ღრმა ძილს, — მოსხლტა ვარსკვლავი ლაქვარდ ცის კიდურს და ჩაესვენა უჩინო ადგილს!..

* * *

ახ, რად არ ძაღმიძს ვიყო ვარსკვლავი, მოვსწყდე კამარას, ჩამოვირბინო და შენს გულ-მკერდზე ვპოვო საფლავი, უხმოდ ვეპკურო, ზედ მივიძინო!..

ი. გრიშაშვილი.



კაცი მაღალი სულიერათ, ბუნების შვილი ქვეყნათ ვიღოდა ცხოვრებისა მამიებელად: ბევრი ესწავლა, განათლებაც მიეღო დიდი, დღეს ჩაპყურებდა დედა-მიწას, შესტკეროდა ცას. აღარ სწამდა მას, თავის ირგვლივ რაც რამ ხდებოდა. ყურს არ უგდებდა, სულელურათ ცხოვრების ბრუნვას. დადიოდა და ეძებდა ის ჭეშმარიტებას... ბოლოს დაღლილმა, დაქანცულმა, სასო მიხდილმა, საღამოს ჟამსა მიადწია ერთ ყრუ სოფლამდის; არვის არ სთხოვა იმ ღამისთვის თავ-შესაფარი, სოფელს ეძინა, არ ისურვა გამოღვიძება:

„ეძინოს დაე, ძილში ჰპოვებს ბედნიერებას“ — ჰფიქრობდა მგზავრი. განშორდა სოფელს, ერთ მაღალ მთას მიუახლოვდა. მოიხსნა გუდა, თავ-სასთუმლად მიიღო იგი, მიწვა ხის ძირას და მიეცა ძველ მოგონებას. გონების თვალი გადაავლო თავის განვლილ გზას: ფუჭად ეჩვენა ყოველივე ნამოქმედარი.

„რა მოვიტანე, რა შევქენი ამ გამოკვლევით? სულ არაფერი, მხოლოდ ჩემს თავს მივეცი ვნება.“

დღეს არაა მრწამს, არაა მიყვარს, ყველას დავცინი. სხვებმა ვერ შესძლეს ამოღწევა იმ სიმაღლემდის. ვიარე მარტოთ, ვერ შევსძელი სიცოცხლის შექმნა იმა ცხოვრების, რასაც ელტვის ადამიანი.

დავეშვი ქვევით და რა ჰპოვებ? არარაობა.

ჟამსა ჰქონია განსახლებული ერთი კანონი; ბრუნავს, გაბრუნებს, გატრიალებს ძველს და ახლის შუა, ახალსა შეჰქმნის ძველთა ძველად, ძველს განანახლებს, კაცს-კი არ ძაღვიძს გასცდე იმის მაღალ ზღუდესა. ბედნიერებას დავეძებდი ჩემსა გარეშე, დავჰკარგე ისიც, რისიც ვიყავ წინათ მფლობელი; აღარ მაქვს რწმენა და ვიქვეც საცოდავ ჰიათ“.

ის მიაჩერდა მის პირდაპირ აღმართულ მთასა, რალაცეები მოიფიქრა იმ მთის შესახებ, დიდხანს ვერ გასძლო, დაღლილობამ აიღო თვისი, ნელა ჩასთვლიმა და ჩაეძინა დაღლილ მოგზაურს.

ძილში იხილა საუცხოვო რამე სიზმარი; ნელა გაიპო ცის კამარა, ღრუბელნი განქრნენ, ჰაერს გადმოყვა მომხიბლავი ტურფა არსება. თეთრებში მოსილს მას არ ესხა ანგელოზთ ფრთები, ტურფათ ეყარა გიშრის ფერი მოელვარე თმა. თვალეები მისი გამოსთქვამდნენ გონიერებას, ღრმათ უძვრებოდნენ ადამიანს სულსა და გულში.

ხელში ეჭირა მას მძიმე კვერთხი, ნიშანი დიდის ძლიერებისა, თავს უმშვენებდა ნაზი გვირგვინი, დაწნული მინდვრის ყვავილებისა... თავსა წაადგა დაღლილ მგზავრს, შეახო ხელი და ნაზათ უთხრა:

„ადამის შვილო?..“ წელან გიციქერდი, დაღლილ-დაქანცულს ამ მთისათვის მიგეპყრა თვალი.

გეძინებოდა, მაინც გქონდა იმის სურვილი, რომ გამოგეცნო უხსოვარი დროის ამბავი. დამიგდე ყური, მოგიყვები ზღაპრულ ამბავსა“.

II

აქ მაღალ მთაზე, სადაც ას წლობით არწივი ბუდობს, ვერ მიუდგება იმას ფეხი ადამიანის. სალი კლდე შავთ, მოქუშულათ გამოიყურვის, თითქოს ბებერ ქაჯს ბორბტებით გაანჩნლებულსა, კაცთ შემაზარათ დაელმიჯოს სახის ნაკეთები, მთაც იმას წააგავს, ნიავ-ღვარს ის დაუსერია, ჩამოუკაწრავს ვეშაპისთვის სქელი გვერდები. შორით ეტყობა, ღრმა ხვრელები შეუდის გულში, თითქოს ძველს კომქზე სათოფურებათ დაეღოთ პირი. დღეს ვილა უწყის, ვინ მოგიტხრობთ დანამდვილებით, ვინ სცხოვრებდა აქ, ან ვინ იყო მისი მფლობელი?

მხოლოდ მოხუცი გადმოგცემენ ძველსა თქმულებას და გითითებენ მის მწვერვალში აღმართულ სვეტზე. ის არის წმინდა სალოცავი აქ მცხოვრებელის...

ესმით თუ არა მნიშვნელობა იმ ნატეხი ქვის, დიდს და პატარას დაუსახავს მაინც სიწმინდეთ. ვინც გზათ გაივლის, მთისა ძირას, მუხლსა მოიდრეკს, გამოუთქმელის სასოებით, თაყვანს სცემს მთის წვერს, აქ ეგულება ქვეყნის მხსნელი უკვდავი სული... შენ მომისმინე, მე ავიხსნი მის მნიშვნელობას.

უყურებ ამ მთას? ამას ჰქვია გველის ქალაქი. უხსოვარ დროიდან დაედო გველს აქა ბუნავი. ხვრელები ჰქონდათ, ბევრი იყო იმათი რიცხვი, უზარმაზარნი, ორ-სამ საყენს აღემატოდნენ. და როცა სინათლე დედა-მიწას ევლინებოდა, და დღის მნათობი ცის ძირიდან იწყებდა გორვას, მთასა დაჰკრავდა დაქანცული სპილენძის ფერი. შემდეგ თებობდა, და მთის კალთებზე, შიშის დამცემი შესახარი სანახაობა, უძლურ მცხოვრებელს ეშლებოდა თვალთა წინაშე. კაცის ჭამია კანკრელნი იწყებდნენ სრიალს, ზურგს მზეს უშვერდნენ, კისრებ მაღლა დაგრძელებულნი, გრძელ წითელ ენებს გამოყოფდნენ შემაზარავათ. ვარჯიშ-ნავარდით შხამის ისრებს იქ ამზადებდნენ, მათი სისინი აყრუებდა იმ არე მარეს. კაცს გაუჭირდა იქ ცხოვრება. მეტათ შესწუხდა, უძლური იყო, რომ ებრძოლა მძვინვარე მტერთან. დღისით თუ ღამით, ხალხს არ ჰქონდა ცოტათ სიმშვიდე, ყოველ წუთებში მოელოდა მტრისგან თავ დასხმას. შეება ბევრჯელ იარაღით, მაგრამ ამათ, ძლეული იქმნა და მსხვერპლათაც შესწირა თავი.

ხანი გავიდა, ხალხს გაუწყდა ხსნისა იმედი, აყარა ბინა, გადიხვეწა შორს, შორს აქედამ.

მხოლოდ-კი ერთმა არ დასტოვა თავის სამშობლო, გამოერჩია ტოლ-ამხანაგს, მოყვას-ნათესავს. დარჩა ის მარტო, მაგრამ ახლოა ძლიერი რწმენა: რომ მის ქვეყანას მოელოდა თავისუფლება.

ბინათ დაიდო ახლოს მყოფი გამოქვაბული, სალოცავათ კი გაიხდა ესე მინდორი. მან აქ დაასო გარუჯული შავი რტო ხისა, აღთქმად დაუდო შემომქმედ ძალას მის აყვავება:

„როცა აყვავდეს უსიცოცხლო ეგე რტო ხისა და გამოიღოს ნოყიერი იმან ნაყოფი, მაშინ ეღირსოს ჩემს ქვეყანას თავისუფლება, და აღარ იყოს მძვინვარე მტრის სახსენებელი“.

იკვებებოდა მინდვრად მოსულ ყვავილ ბალახით, ზამთრობით იყო იმის საზრდო მცენარის ძირი. დრო მიდიოდა, ხეს არ უჩანდა რამე ნიშანი. მაგრამ მლოცველს-კი არ უხმია განგების გამობა. ერთხელაც-კი არ უფიქრნია: „გასწყდა იმედი“.— ვითა სალი კლდე, ისე ადგა თვისსა რწმენასა, მან არ იცოდა ღამით შიში, დღისით წუხილი, ის არა გრძნობდა დაღლილობას დაქანცულობას.

იმახის ძირას, დაჩოქილი, თვალ აღპყრობილი, ათენებდა ის, წმინდის ლოცვით გრძელსა ღამეებს.

III

დიდის ხნის შემდეგ, გაზაფხულის ერთს დასაწყისში, ღამით მივიდა განდგეილი თვის სალოცავთან, ცრემლებით მორწყო უნაყოფო ხისა ფესვები, მხურვალის გრძნობით წარმოსთქვა მან ესე სიტყვები:

„ჰოი განგებავ! გეურჩები ადამიანი, სამოწყალოდა არასა გთხოვ, მხოლოდ მოვითხოვ, რაც რომ ღრმათა მრწამს, რაც მეკუთვნის, რაც რომ ჩემია—ჩემსა ქვეყანას მიენიჭოს თავისუფლება.“

მე არ მრწამს სისხლი, არც მოვდივარ ხელში მახვილით. მხოლოდ იცოდე, ძლიერია ადამიანი, ვისაც რომ ესმის, ვინაც იცის სურვილის ძალა. საუკუნები რომ ვიცოცხლო, არ შევიცვლები. მოვკვდე, შთავიდე შავს მიწაში, მაშინაცა—კი, არ გეტყვი. ღმერთო! მომიტევე, გემორჩილები. ნელ-ნელ ინათა, და დედა მიწას სხივი ჰფინა დღისა მნათობმა. იმან დახედა თვისის ხელით გამწვარსა რტოსა, და რა იხილა!


აჰა, ქვეყნის საკვირველებავ, ხეს გამოესხა ზეთის ხილის თეთრი ყვავილი. სიო არხვედა ნახსა ფოთლებს, უბრიალებდა, და ჯერ უღონოთ ფესვებთ მიწა ვერ იმაგრებდა.

ის-კი გაჰქვავდა, გაიყინა თითქოს ერთ ადგილს. ცოტა ხანს იყო, გარინდული გაშტერებული. მსწრაფლად გაშუქდა მისი სახე, სხივთა მფრქვეველი. გულის კანკალით შეახო ხეს ბროლის თითები.

ტუჩების რხევით ნიავივით დაიხურჩულა:

„აღსრულდა ეხლა, გამარჯვება აწ-კი ჩვენია.“

ხესა მოსტეხა პატარა რტო დაუფიქრებლათ, და ვით ისარი, მთის ძირისკენ იმან გაჰქროლა,



მსწრაფლ აირბინა მთის ციცაბო, უვალი გზები.

აღვიდა მწვერვალს, გადმოხედა მთელსა მიდამოს... აღარ ისმოდა საზიზღარი მტრისა სისინი, აღარსად სჩანდა შემზარავთა რამ ნაკვალევი. ისინი გაქრნენ, დარჩა რწმენა გამარჯვებულნი.

არვის უნახავს მლოცველი ის დაბრუნებული, მხოლოდ, იხილა სიზმარი რამ ერთმა მოხუცმა:

ანგელოზთ გუნდი ცათ გალობდა საგალობელსა. გუნდრუკს უკმევდა გარს უფლიდა მთისა მწვერვალისა. თითქოს იქ იყოს დამარხული ქვეყნისა მხსნელი, და ის ქვის სვეტი ძეგლათ ედგას უკვდავ ძალასა. მასხედ ლოცულობს დღესაც ხალხი ბავშვებრ გულ წრფელი.

VI

ის ვიყავ ქალი, ნაზი ქმნილება, სპეტაკის გრძობით, შენ-კი გმირთ გმირო, ქედ უხრწლო ყველგან ყოველთვის, შენ არ ხარ მწერი, წარამარა ვინცა კვდებიან. ეგ პიროვნება ძლიერ ძვირათ იბადებიან, ვინც, რომ აერთებს ცას და მიწას.

ქეშმარიტებით, იშვიათია ეგ მოვლენა კაცთ ცხოვრებაში. აღსდევ, ასწიე მძიმე ტვირთი, რაცა გვხდა წილად, შექმენ ცხოვრება, გაიარე გზა ეკლიანი.

უკან მოჰხედავ შენს მომდევართ, ვითა ცხვრის ფარას, გაგეცინება მწუხარებით და იტყვი ესე:

„ერთსაც არ ესმის ჩემი სიტყვა, ჩემი ზახილი, ჩემი ნათქვამი ფუჭი არის იმათ ყურთათვის. დიდი იქნება, თუ გაგიგებს ურიცხვში ერთი... ბრბო იხარხარებს, სიცილითა ქვა-ლოდს მოგაყრის. საც დაეცემი, დაიშლება შენი სხეული, იქცევა არრად. ლეში შენი განუტევებს სულს, გჯეროდეს, რომ იქ გაიმარჯვებს მაღალი აზრი.“

V

ჩვენება გაჰქრა, მგზავრს გაეღვიძა, შუბლს მოიწმინდა ცივი ოფლი გადმოდენილი. გულს გადაეყარა მოწოლილი ნაღველ-ვარამი.

თავი ასწია, ცას შეხედა თვალ გაუტეხლად და აღსდგა კაცი ისევ ისე განახლებული.

მ. გარიყული.



შინაური მიმოხილვა.

ამ ბოლო დროს ტფილისის რუსულ გაზეთების ირგვლივ ისეთი ატმოსფერა შეიქმნა, ისე გამრავლდა უპირო და ზნეობრივად ყოველ ნიადაგს მოკლებულ ადამიანთა რიცხვი, რომ მათგან ადა-

მიანი ყოველივე სისაძაგლეს უნდა მოელოდეს. ერთი ამ სისაძაგლეთაგანი უკვე გამოძვლავდა ტფილისში ქალაქის ხმოსან მიწაზე და გაზეთში მომუშავეთ ცნობილს ლევან ყიფიანს და ნაგურსკის დაუარსებიათ სინდიკატი სამრეწველო საქმეთა დასაცველად. აშკარაა, იმათ უთქვამთ, მობრძანდით, ვისაც გსურთ, მზად ვართ გემსახუროთ, ოღონდ ოქრო მოგვაწოდეთო. ლოდინიც აღარ დასჭირებიათ. ტრამვაის უსახელო საზოგადოებას შეეკრიბან პირობით—თვიურად ათასი ფრანკი მოგვეცით და ჩვენც გაზეთს დავაარსებთო. მართლაც გამოსცეს ყოველ კვირეული „ეჭენედელნოე ობოზრენიე“. ფულს იყოფდენ, თავს არხეინად გრძნობდენ. მაგრამ მათდა საუბედუროდ საიდუმლოებას ფარდა აეხდა. სინდის გამყიდველი გმირები გამოაშკარავდენ. მათ ფარფაშს ფრთა შეეკვეცა, მაგრამ დიდი ხნით? ცუდი, უსინდისო, უზნეო ადამიანი ყოველგან ბლომად მოიპოვება. მაგრამ მათი პრესაში გაბატონება სწორედ რომ დიდ გათახსირებას გამოიწვევს. ხოლო ეს გათახსირება მანამდი არ შესუსტდება ჩვენში, სანამ ჩვენი პატიოსნებით მოამაყე მოღვაწენი არ ჩაფიქრდებიან და თავის მოვალეობად არ ჩასთვლიან არა ემეგობრონ, არამედ ერიდონ ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო ცნობილი ბ-ნი ლ. ყიფიანი ამ საქმის გამოქვეყნებამდისაც.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევეცებით ამ სასიციხო მოვლენას, მაგრამ არ შეგვიძლია საზოგადოების ყურადღება არ მივაქციოთ ერთს ფაქტს. მოქართულე რუსულმავე პრესამ გვაჩუქა რამდენიმე პირო, რომელნიც კალმით არ კმაყოფილდებიან და არ ერიდებიან საზოგადო ადგილებში უშვერ ლაძღვანებას და ცემა-ტყეპას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი მდგომარეობა ტფილისში: ქართველ კაცს კუნჭული ვერ უპოვია, რომ თავი შეაფაროს, თავის თანამოაზრეს თუ მოპირდაპირეს შეხვდეს, მოილაპარაკოს საზოგადო საქმეებზე და ამ ნაირად ცოტადნად მომაგრდეს. დაგვრჩენია ერთად ერთი ქართული თეატრი, სადაც ერთმანეთს მაინც შევხვდებით. ჩვენმა სკანდალისტებმა სწორედ ეს ადგილი აირჩიეს. ივლიან, ივლიან და მოვლენ აქ სასკანდალოდ, მოვლენ რიხით, თითქო რამე დიდ გმირულ საქმეს ჩადიოდნენ. ჩვენ სრულიად არ გვსურს ჩავერიოთ „ზაკავაზის“ და პ. ფოთუას „ნ. რეჩის“ ურთიერთ ატეხილ დავაში, ჩვენ ორივე გაზეთი ერთი ყალიბისად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით ამ ორივე გაზეთს თავისი უაზრობით, უპრინციპობით და უშინაარსობით მხოლოდ გათახსირება შეაქვთ ჩვენ საზოგადოებაში. მხოლოდ ერთი სათხოვარი გვაქვს—გვეყოფა ის ვნება, რასაც კალმით გვაყენებენ, გავანთავისუფლონ ცემა-ტყეპისაგან.

*
**

ჩვენი მორუსულე გაზეთები ასე რომ სწერდენ:

ფინლანდია

ქართული
ბიბლიოთეკა

მე პართენ გოთუა, მე, გიორგი ამირეჯიბი, ასე ვფიქრობთო, — კიდევ რა უშავს, ყოველ ადამიანს უფლება აქვს იფიქროს, როგორც სურს, ხოლო სხვებს — მისი აზრის ღირსება დაათასოს. მაგრამ საუბედუროთ ამ გაზეთებმა ისეთი კილო შემოიღეს, თითქო ისინი ჩვენი, ასე ვთქვათ, გარეშე საქმეთა სამინისტრონი იყვნენ. ვინ დააკისრა მათ ქართველ საზოგადოების მაგიერ ლაპარაკი? რა უფლებებზეა დამყარებული ეს მათი რიხი და გამბედაობა? ეს ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საილუმოებაა და დეე თვითონ იმათ აგვიხსნან. ხოლო სანამ ამას აგვიხსნიდენ, ჩვენ ვსთხოვთ, რომ ქართველ საზოგადოების სახელით ნუ ლაპარაკობენ.

ჩვენი ფიქრით, როგორც კერძო ადამიანს, ისე ერსაც ყოველივე განსაცდელის ატანა შეუძლია, სანამ სინიდისი შეუბღალავი ექნება და თავის მდგომარეობას არ დაუმონდება, გულს არ გაიტყვის, არ დაეცემა და სამოწყალოდ წარამარა ხელს არ გაიშვებს. სჯობია ცოტა მოითხოვო, ვიდრე ბევრი ითხოვო, რადგან მათხოვრობას საერთაშორისო დამოკიდებულებაში გასავალი არა აქვს. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენში „უმალღეს“ პოლიტიკის მწარმოებელთ არ ესმით, როგორც არ ესმით ისიც, რომ კერძო პირი, თუნდ დიდი მოხელეც, ვერ ჰქმნის პოლიტიკურ მიმდინარეობას და ვერ შესცვლის ძველს. ის მთელ სისტემაში მხოლოდ მცირეოდენი ხრახნილია და რომც მოინდომოს ამ სისტემის წინააღმდეგ წასვლა, მაშინვე გაირიყება. ის მანამდისაა თავის ადგილზე, სანამ არ გამოდის საერთო კალაპოტიდან. როცა ამ საანბანო ჭეშმარიტებას შევიგნებთ, მაშინ აღარ ასტეხენ ჩვენი პოლიტიკოსნი ასეთ განგაშს თვითეულ მოხელის ჩამოსვლაზე, და ზედ-მეტ ზნეობრივ დამცირებას მაინც თავიდან აგვაცდენენ.

* *


ტფილისის სახალხო უნივერსიტეტი თითქმის თავის არსებობის დღიდანვე დაიკეტა ქართული ენისათვის. ქართულ ენაზე რამდენიმე ლექციის წაკითხვის შემდეგ ვეღარ ვეღირსეთ ახალ ნებართვას. როგორც გაზეთები გადმოგვცემს, ბ. ვასილ რცხილადეს განუზრახავს წაეკითხა ლექცია ფიზიკიდან, მაგრამ ნებართვა არ მიუციათ. ცხადია, რომ თვით ლექციის შინაარსი და თემა არავისთვის საფრთხილო და საშიში არ იქნებოდა. და თუ ნება არ დართეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ ენაზე უნდა წაეკითხათ. ქართული ენის ასპარეზი იმდენად შევიწროვდა ამ ბოლო დროს, ისე თანდათან იზღუდება მისი სიცოცხლის ფარგალი, რომ საჭიროა მეტად სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და ყოველივე ღონის ძიება მიღებულ იქმნას, რათა სახალხო უნივერსიტეტიდან მაინც არ გააძევიონ.

ყოველ ლიბერალურ და განმათავისუფლებელ კატეგორიას თან სდევს ხალხე საწინააღმდეგო მოძრაობაც — რეაქცია. სამოციან წლებს რუსეთში უკან მოჭყვავათს მოციან წლები. ბატონუმიბის მოსწაბა, სამოქალაქო და სათქმო თვითმართველობა, სასამართლო წესწეობილება და სხვა ამისთანა უფლებრივი შექენანი შემდეგ ხანში ძალიან გამოიცვალენ, — რუსეთს თითქო თვაითნ შექენინდა გადადგმული ნაბიჯისა და უკან წევა დაიწყო. მისმა მეთაურებმა ფრთა შეუკავებეს ცხოვრებას და ყოველი დონე იღონეს ჩაუქეხებინათ იგი უწინდელურ უფლებრივ კალანტოში.

შიში უფრო ჩრდილოეთ — დასავლეთიდან ჰბერდა. ეს თავისუფალი ფინლანდია, მისი სეიმიო, განსაკუთრებულ მართველობით და კანონმდებლობით, სრულებით არ ეთანხმებოდა ნამდვილ რუსეთს, მის ბიუროკრატიულ თვათნებობას და თვითმწერბელობას. ამიტომ მეათხმოდე წლიდან მოყოლებული ვიდრე წარსულ საუკუნის დამლევამდე რუსეთში გამოვიდა ბევრი კანონი ფინლანდიის შესახებ. უგულა ამ კანონებს მიზნად ჰქენდა ისე მოეწესრიგებინა ფინლანდიაში ავტონომიური წესწეობილება, რომ მის ცხოვრების მიმდინარეობაზე რუსეთის მართველობას ჰქენდა შესამწევი ზედგავლენა. აი სწორედ ამ ხანში აღიძრა საკითხივი საერთო კანონმდებლობის შესახებ.

რა არის ეს საერთო კანონმდებლობა? ყოველ ქვეყანას, რასაკვირველია, ბელომად აქვს თავისი შინაგანი საქმეები — მათი ჩამოთვლა შორს წავკვიყვანს, თითქმის შეუძლებელია და არც არის საჭირო. კანონმდებლობა ამ შინაგან საქმეთა შესახებ რუსეთში და ფინლანდიაში სხვა და სხვა არის და ერთი მეორისგან დამოუკიდებელი. მაგრამ გარდა ამ საქმეებისა, არის კიდევ ისეთი საქმეებიც, რომლებიც საერთო არიან და ერთხანად შეეხებოიან როგორც რუსეთს, ისე ფინლანდიას. აქ იბადება ის თავსამტვრევი საკითხიც, თუ როგორ უნდა წწარმოებდეს ეს საქმეები? ვის ხელში უნდა იყოს საკანონმდებლო უფლება მათი წწარმოებისა და გადაწეუქებისა?!

აი ამ საკითხით ისარგებლეს ფინლანდიის მტრებმა და იმდენს ეტადენ, რომ 1899 წელს გამოიცა ის შესანიშნავი კანონი, რომლის ძალით ყოველი საქმე, რომელიც კი შეეხებოდა ფინლანდიას და რუსეთის იმეურობას, უნდა ეთფილიყო გარჩეული და გადაწეუქტილი რუსეთის მართველობის მიერ. ამისთანა საქმე უნდა განსილულყო ეთფილიყო სახელმწიფო საბჭოში, მერე მოხსენებოდა ხელმწიფე იმპერატორს და შეიძლება მიეღო უკანასკნელი საკანონმდებლო სანქცია: ამხანად ფინლანდიის სეიმიო, მისი სამინისტრო (სენატი) და მისი სტატუსკერტარიატი ჰქტერბურგში სრულებით განზე დარჩა, და მთელი ფინლანდია აღმოჩნდა დამოჩხილებული რუ-



სეთის მართებლობას. ამ კანონმა გამოიწვია დიდი ალია-
ქთი და შოთა ფინლანდიაში. განვითარებული და მომ-
ზადებული კრი მალე მიუხვდა რუსეთის რეაქციონერებს
და თავგანწირულებით სწინააღმდეგოდ მზადება დაიწყო.
ქლავე ერთდღე სიტყვით ვეცდები დავახსიათო ეს
ერთნული მოძრაობა, მაგრამ მანამდე საჭიროდ მიმაჩნია
შეითხველს გაუთვალისწინო შემდეგი იურიდიული მოსაზ-
რება.

შემოდ მე ხაზი გავუსვი ორ სიტყვას: „საერთოს“
და „შეეხებას“.

„საერთო საქმე“ ნამდვილი იურიდიული ტერმინია
და შეიცავს წინასწარ განსაზღვრულს აზრს (შინააზრს);
ხოლო „საქმე, რომელიც შეეხება“ ორს ქვეყანას —
ეს ისეთი წინადადებაა რომელსაც არავითარი კავშირი არა
აქვს იურიდიულ ტერმინოლოგიასთან. რუსეთის და ფინ-
ლანდიას შორის, რა თქმა უნდა, არის და უნდა იყოს
„საერთო საქმე“. და ამ „საერთო საქმეზე“ რომ იყოს
ლაზარკი, უფლები დავაც მეტი იქნებოდა. საერთო საქმედ
რუსეთის და ფინლანდიის შორის ჩათვლება მხოლოდ:
საერთაშორისო წარმომადგენლობა და სამხედრო მართვე-
ლობა. ამის წინააღმდეგ ფინლანდიელებიც არ არიან.

მაგრამ ის კანონი, რომელიც გამოცდა 1899 წელს
და აგრძელებს უკანასკნელი განკარგულება 20 მაისის 1908
წლისა, სულ სხვა ტერმინოლოგიას მისდევს. ისინი ამ-
ბობენ იმ საქმეებზე, რომლებიც შეეხებიან რუსეთს
და ფინლანდიას. ეს ისეთი ტერმინია, რომელსაც არც
თავი აქვს, არც ბოლო; არ იცი, სად იწყება და სად
თავდება მისი საზღვარი. უფულ საქმეში, რაც გინდა
ზატარა და უმნიშვნელო იყოს, შეიძლება კაცმა იზოვოს
ისეთი მხარეც, რომელიც ცოტათი მაინც ან დაშორე-
ბით მაინც შეეხება ხოლმე საზოგადო ინტერესებს. ამ-
ნაირად თითქმის მთელი კანონმდებლობა ფინლანდიის
დამოკიდებული განდა სუბიექტურ შეხედულებასზე. თუ
რუსეთის მოხელე, მინისტრია იგი, თუ სხვა ვინმე, ვი-
საც კი მინდობილი ექნება ამ საქმეთა წარმოება, იტყვის
რომ „ეს და ეს საქმე შეეხება რუსეთის ინტერესებსა-
ცა“ მორჩა და გათავდა: საქმე გამოცვლება ფინლან-
დიის სეიმს და გადაწყვეტილი იქნება რუსეთში.

საზოგადოდ ეს საკითხი ახლად დაბადებული არ
არის. ევკლებან, სადაც კი არის დამებებული კრი, მაგ-
რამ იმდენად კულტურისა და განვითარებული, რომ ვერ
შეჭრივებია თავის ზოლიტიკურ სიკვდილს და თანდა-
თანურ განადგურებას, ევკლებან ეს საკითხი იყო წამო-
ყენებული და გადაწყვეტილიც. შორს რომ არ წავიდეთ,
ხუნშიაც, ამ უკანასკნელ მოძრაობის დროს წამო-
ყენებული და გადაწყვეტილი იყო ეს საკითხი. საერთო
საქმედ რუსეთისა და საქართველოს შორის მაშინდელ
ჟურნალ-გაზეთებში და კერძო ბაზში აღიარებული იყო
შემდეგი საკნები: საერთაშორისო წარმომადგენლობა, სამ-
ხედრო საქმე და ზღვაოსნობა, საფინანსო და სადამოყ-
ნო ზოლიტიკა და კანონმდებლობა, ფულის მოჭრა, ზომა
და წონა, რკინის გზები, ფოსტა და ტელეგრაფი, სა-
ვაჭრო და სამოსამართლო (პროცესი) კანონმდებლობა.

აქედან სჩანს, თუ რამდენად წინა სდგას ფინლანდი და
რამდენათაც უფრო ვრცელია და შინაარსიანი მისი ავტო-
ნომია. საერთო საქმედ ფინლანდიის კანონმდებლობაში
ითვლება მხოლოდ ზირველი საკანი — საერთაშორისო წარ-
მომადგენლობა; რაც შეეხება მეორე საკანს — სამხედრო
საქმეს და ზღვაოსნობას, რუსეთის ხელშია მხოლოდ სამ-
ხედრო მართველობა. სხვა სამხედრო საკითხავები, კარ-
და მართველობის — ხარჯი, ბინა და სხ. — ისევ ფინლან-
დიის სეიმის კომპეტენციაში შედის.

როგორ მოიქცა რუსეთის მართველობა?

ჯერ გაუქმებულ იქმნა ფინლანდიის ჯარი და შე-
მოკლებული ახალი სამხედრო წესი, რომლის ძალით სამ-
ხედრო სამსახური სავადებულო უნდა ეფთვილიყო ისე,
როგორც დანარჩენს რუსეთში. მეორე თანდათან რკინის
გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მართველობა ცოტათი
მაინც დაუმორჩილეს ზეტერბურგის ხელმძღვანელობას;
სეიმისა და გენერალგუბერნატორის კანცელარიაში შემო-
ღებულ იქნა რუსული ენა. უნდოდთ აგრძელებს გაუქმე-
ბინათ სრულებით სადამოყნო ხაზი, მაგრამ ეს კარგი-
ბა ცოტათი სპიძარი აღმოჩნდა რუსეთის მრეწველობი-
სათვის და ამ ცვლილებას ჯერ ჯერობით თავი დაანებეს.
ბუგრსა ჰეგროდენ აგრძელებს იმის შესახებ, რომ უფლები
რუსი ფინლანდიაში მოკლებულია ზოლიტიკურ უფლებას-
სო, ნება არა აქვს მიიღოს რამე მონაწილეობა შინაურ
ზოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაშია და ისე
უყურებენ მას, როგორც უცხოელსა. ეს მართალია.
რუსეთის მკვიდრი, რომელიც ფინლანდიაში ჰცხოვრობს,
მოკლებულია ფინლანდიის ზოლიტიკურ უფლებას: იმას
ნება არა აქვს, მიიღოს მონაწილეობა დეპუტატების არჩე-
ვაში, ან წარმომადგენლობა სეიმში და არც ადგილობრივ
თავთმართველობაში. თუმცა მეცნიერულად ამისთანა უფ-
ლებრივი განწყობილება არ წარმოდგენს არავითარ უსა-
მართლობას და ეს აგრეც უნდა იყოს, მაინც ფინლანდიის
სენატმა მიიღო მხედველობაში ეს უკმაყოფილება რუსთა
შორის და ეხლანს შემოუშვა კიდევ ერთი კანონპროექტი,
რომლის ძალით რუსეთის მკვიდრთ ძლიან უადვილდებო-
დათ ფინლანდიის მოქალაქობის უფლების (ინდიჟენატი)
შეძენა. მაგრამ ამ კანონპროექტსაც ვერ გასჭრა. ზეტერ-
ბურგში ეკვრის თვალთ შეხედეს ამისთანა უფლების შე-
ძენის გაადვილებას: ვაი თუ უფლები რეპოლუციონერი
მაშინ ფინლანდიაში გადავიდეს და იქაური მოქალაქობის
უფლება შეიძინოს — მაშინ რომ ძლიან გაჭირდება შე-
ურობა და ზსუხის გებაში მიცემს უფულ ფინლანდიაში
შეხიზნული დამსაშავისა! აი ის მოტივი, რომლის მი-
ზეხებით შემოსენებული კანონპროექტი დამტკიცებას არ
ელირსა. — საზოგადოდ რუსეთის ავტონომიული ზოლიტიკა
სტუმად ისეთს ადგილებში ფინლანდიის ავტონომიას, რომ
ნაკლებად იყო სავრძობელი უბრალო ხალხისათვის. ხალ-
ხი კარგად ვერა ჰხედავდა, თუ როგორ ეზარებოდა უცხო
ძალა, როგორ შედიოდა იგი მის თავისუფალ ცხოვრება-
ში და როგორ თანდათან იტყრდა უმთავრესს ზოლიტიკებს.
კავშირისა და კრების თავისუფლების მოსაზობა, რუსულ
ენის შემოღება უმაღლეს დაწესებულებაში, მწერლობის

და ურნალ-გაზეთების დეენა, გადაეყება მისამართლეთა და უმადლეს მოხელეთა და მათ ადგილზე რუსების დანიშნვა—სულ ეს ძალიან ხშირ მოვლენად გაჩნდა ფინლანდიაში, უფრო ბობრიკოვის დროს; ბოლოს სსზოგადებრივიმა ძალამაც დაიწყო სწინააღმდეგო ბრძოლა და ფინლანდიის გაუქმების და განადგურების პოლიტიკას წინ დაუყენა პოლიტიკა თავის დაცვისა.

გადავიდეთ ქვლას ამხე.

VI

ეროვნული მოძრაობა ფინლანდიაში უფველთვის იყო. ფინლანდიელი, ფინნია იგი თუ შვედი, სიადგანაღწეულად იყოს და რა გინდა სოციალურ საფეხურზე იდგეს, არასოდეს არ იფიქრებს თავის სამშობლოს. რუსეთში ბევრი ფინლანდიელი მინისტრებიც კი იყვნენ და დღესაც არიან. რა თქმა უნდა, ამისთანა წარჩინებულმა ზირებმა დიდი სამსახურიც გაუწიეს თავის სამშობლოს, და ძალიან წინ წასწიეს და გაამაგრეს მისი პოლიტიკური მდგომარეობა.— აგრძედე ბევრი მშველელი და თანამგრძობი აღმოუჩნდა ფინლანდიის სტოკჰოლმში და სხვა ქვეყნებშიდაც. მასზე სწერენ, მის მდგომარეობაზე ღაზარაკობენ, მის უფლებასზე ისმის დავა. ერთი სიტყვით მთელი ევროპა ჰგონობს, რომ ფინლანდია და მისი უფლება არ არის ისე ჩასაფურქნებელი არარაობა, რომ კულტურულმა კაცობრიობამ მას უურადლება არ მიაქციოს.

თვითონ ფინლანდია არის კერა, სადაც ჰლევივის ეროვნული გენია; აქიდან შორს იშლება შუქი და მოულოდნელად ანათებს ხან აქ, ხან იქ სხვადასხვა ქვეყნებში. რასაკვირველია, ფინლანდიაში, როგორც ყველგან ქვეყანაზე, არის სხვა და სხვა საჭიროება და ამისდა მიხედვით სხვა და სხვა პარტიებიც; არის უთანხაობა და ბრძოლა იმათ შორის, მაგრამ ეროვნული საკითხი იქ ყველასზე უფრო მადლა სდგას, ხშირად ავიწყობინებს ამ თუ იმ პარტიას მის საზრგრამიმო მოთხოვნილებას და ჰქუენს იმათ შორის სოლიდარულად გულთა ძკერას.

აი უმთავრესი პარტიები. ზირველად უნდა დავასახელოთ **ფინნომანები**. ეს უძველესი პარტია—ეროვნული და დემოკრატიული. ზირველად ამ პარტიას არა უნდოდა რა, კარდა ფინნების ეროვნული გამოღვიძებისა და მათი აუჯავებისა. ეს პარტია ფინლანდიის შინაურ ცნობრებაში თავიდანვე შეეცაპა მეორე პარტიას—**სვეკომანებს**, რომელიც შესდგება განსაკუთრებით შვედებისგან. საქმე ისაა, რომ ფინლანდია წინედ შვედიის ნაწილი იყო, შვედებს აქ ზირველი ადგილი ეჭირათ და მათი კულტურული ზედგავლენის ქვეშ იყო მთელი ქვეყანა. ამიტომ ქვლაც ზოგ ქალაქებში შვედები მეტობენ და შვედური ენა უფრო მიღებულია და გავრცელებული. აი ამით აიხსნება ის ანტაგონიზმი, რომელიც დღემდე სუფევს ამ ორ პარტიას შორის. მაინც სვეკომანებს დიდი სამსახური მიუძღვისთ სამშობლოს წინაშე. მაშინ როდესაც ფინნომანები ხშირად პეტერბურგიდან ელოდენ შემწეობას და კისერსა ხრიდენ თითქმის ყოველ ბრძანების წინ (თუ იგი არა სწაგრავდა მოლოდ ფინნებს),

სვეკომანები თავკამოდებით იბრძოდენ, რომ დაეკავთ სსზოგადოდ ფინლანდიის კონსტიტუცია და მისი თავისუფლება. სვეკომანები შეურიგებელი მტრები არიან რუსეთის პოლიტიკისა და მისი შემოსევის ფინლანდიაში წინააღმდეგ, სკიამის უკანასკნელ რეფორმამდე, თითქმის მოლოდ ეს ორი პარტია იყო წარმოდგენილი სკიამში. ფინნომანები ითვლებოდენ სამართველო პარტიად, სვეკომანები კი—თავისიად. რეფორმის შემდეგ ეს პარტიული ურთიერთობა სრულებით გამოიცვალა და თავი იჩინა ორმა ახალმა პარტიამ—**ახალგაზდა ფინნებმა** და **სოციალ-დემოკრატებმა**. რა სავიარეველია, ეს ორი პარტია ადრეც იყვნენ; მოლოდ სკიამში იგინი რიგისად არ იყვნენ წარმოდგენილი. ახალგაზდა ფინნების პარტია შესდგება უფრო ინტელიგენციისგან: აქ შეხვდებით პროფესორებს, ადოკატებს, ექიმებს, ინჟინერებს და სხვებს; კვანინიც ემსახურებიან ეროვნულ იდეას, მაგრამ ამავე დროს ჰთხოვლობენ ყველასათვის თანასწორობას; სანამ სოციალ-დემოკრატები არა სწანდენ, ეს პარტია იცავდა აგრძედე მუშა ხალხის ინტერესებს. როცა სოციალდემოკრატებმა თვისი ადგილი დაიჭირეს, მაშინ ახალგაზდა ფინნებს დაეკარგათ შინა და გავლენა. ეს აღბად იმიტომ რომ, როგორც ნაციონალისტები უფრო დაბლა დგანან, ვიდრე ფინნომანები, და როგორც მუშა ხალხის მტველნი უფრო სუსტი და გაუბედაფნი არიან, ვიდრე სოციალ-დემოკრატები.

აი უმთავრესი პარტიები. კლასობრივად ფინნომანებში წარმოდგენენ მუსაკუთრე კლასებს, სოფლის და ქალაქის სამღვდელოებას, წვრილ და შუათანა ბურჟუაზიას. სვეკომანები—ახსნურობას, მისვილ ბურჟუაზიას და ბიუროკრატას. ახალგაზდა ფინნებზე ზემოდ მოგანსენეთ, სოციალდემოკრატები კი არ ითხოვენ განმარტებს, ყველა ეს პარტიები ერთმანეთს ებრძვიან, მათი სოციალური და კონომიური პრეგრამმა შეურიგებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა არის ერთი აზრი, ერთი მოთხოვნილება, ერთი იდეა, რომელიც, ვით ცეცხლის ენა, პარტიიდან განეებებული, ყოველ პარტიის ზევით ჰკრთის და ელვარებს... ეს გახლავთ ეროვნული თავისუფლება.

გაიიცვას 1905 წლისა განა არ ამტკიცებს ამას? თუმცა მაშინ მუშებმა თავიდან მოითხოვეს დამოუძნებელი კრების მოწვევა, მაგრამ მალე გაიკეს, რომ ამისთანა მოთხოვნით შეიძლება სულ ჩაჭოფონ ეროვნული საქმე და—განუძენ. ჩაჭკრა კელსინგოფარსში ელექტრანი, ბნელმა მოიცვა ქუჩა და სხვები, შეწედა ყოველი მოძრაობა როგორც ქარხნებში, ისე კანცელარიაებში, და მთელმა ქვეყანამ გაჩნაბა სული... აი ამას ჰქვანს ერთობა. 22 ოქტომბერს კი გამოვიდა მანიფესტი, რომლის ძალით გაუქმებული იყო ყველა ბობრიკოვის განკარგულება და საქვეყნოდ კიდევ იყო აღიარებული ხელ შეუხებლობა ფინლანდიის ავტონომიისა.

— 1907 წელს მოხდა ზირველი არჩევანი დეპუტატებისა ახალი დებულების წესით. აი შედეგი არჩევნებისა:

სოც.-დემოკრატები	80
ფინნომანები	58

ახალ გაზრდა ფინნები	25
სუკამანები	24

როგორც ვხედავთ, უკვლახე მეტი სოციალდემოკრატიები იყვნენ. მაგრამ სხანს, რომ ფინლანდიის სოციალდემოკრატიები არა ჰგვანან ჩვენებურებს და როცა კითხვა ეროვნულს უფლებას მიაღებებს, არ მიესწრათ ბიან ჰეტერობურებს, როგორც სპონდიტიკო და სკანონ-მდებლად ცენტრს; არა, იმათ თავისი ცენტრი აქვსთ თავისავე სამშობლოში, იქვე არის კლასობრივი ბრძოლა და თვითონ თავის ძაღლით სცდილობენ მოაწესრიგონ თავისი ცხოვრება. — როცა რუსეთში ჰირველმა მინისტრმა სტოლიპინმა განიძახა ფინლანდიის დამორჩილება და მიჰმართა რუსეთის წარმომადგენლებს სხელმწიფო სათათბიროში — მხარი დამოჭირეთ და შემწეობა მომეცითო, მისმა სიტყვამ ასტკეს დიდი აურ-ზაური ფინლანდაში. სწორედ სოციალდემოკრატიები იყვნენ ის ორატორები, რომლებმაც მოთხოვეს ზსუხი ფინლანდიის სენატს (სამინისტრო). კითხვა აგრე იყო დაყენებული: იცის თუ არა სენატმა, თუ რას გვიქადის რუსეთის მართებლობა და თუ იცის, რომელ დონის ძიებას ჰეთიქრებს მიჰმართოს ავტონომიის დასაცველად?

ის ფორმულაც, რომელიც მიიღო სეიმმა, სოციალდემოკრატიების იყო, და იმდენი გამწარებული უკმაყოფილება ისმელა რუსეთის მიმართ, რომ სენატი გადადგა და სეიმი კი დათხოვნილი იქმნა უმადლესი ბრძანებით.

1908 წელს მოხდა ახალი არჩევნები. სოციალდემოკრატიებმა შეიძინეს სამი ახალი ადგილი და ფინლანდში კი დაჰკარგეს ოთხი. დანარჩენი ზარტიების ძალა შეუცვლელი დარჩა. ეს ამტკიცებს, რომ ქვეყანა თანაგროძნბს ამ ზარტიას, რომელიც გაბედულად იბრძვის ავტონომიის დასაცველად. — ეს სეიმიც დათხოვნილი იყო ეხლახან, ამ წარსულ ანგარში, მოხდა ახალი არჩევნები, და როგორც გახეუბიდან, სხანს, ზარტიების რიცხვი და მათი ურთიერთობა თითქმის არ გამეცვლილა. მთელი ფინლანდა გადაწვეტილად ჰდგას და არ უნდა გადაუხვიოს ლეგალური ბრძოლის გზას. იგი იცავს თავის ზოლიტიკურ თავისუფლებას. უმადლესი უფლება ეს მესამედ დაეკითხა ფინლანდიის ხალხს და ხალხმა მესამედ გასცა ერთი და იგივე ზსუხი: „ფინლანდიის ავტონომია სელ-შეუხლებელი უნდა იყოსო“. საქმე ისაა, რომ ჰეტერობურებში უნდა შეიმუშავონ ისეთი კანონი, რომლის ძალით ფინლანდიის უფელი საქმე და სკითხი, რომელიც კი შეეხება რუსეთის ინტერესებსაც, გადაწვეტილი უნდა იქმნას რუსეთის საზოგადო სკანონმდებლად წესით. როგორც ადრე მოგახსენეთ, ამ კანონის შემოღება თითქმის სრულებით აუქმებს ფინლანდიის სეიმს და მის ავტონომიას. აი სწორედ ამ კითხვაზე ფინლანდიის ერმა ზსუხი გასცა: „არა, ეგ არ შეიძლება!“

თუ არსებობს კონსტიტუცია ფინლანდაში და თუ ზარტიისცემით ეხერობა ამ წესწეობილებას უმადლესი უფლება იმპერიისა, საქმე გადაწვეტილია და სამიხერიო მართველობა უნდა დაემორჩილოს ფინლანდიის ერის სურვილს. არა-და, ეს სურთიერთე შური, უკმაყოფილება და

ბრძოლა გაჭიანურდება დიდხანს. თუ უფლება დაგიწებულა იქნება და ძალადობაზე მივა საქმე, რა თქმა უნდა, ზარტიას ფინლანდა ვერ შეებრძლება იარაღით ზედაში უშეულებელს რუსეთს. სმაგეროდ ფინლანდიის მსგეზუა უფლების ძალა და ევროპის თანაგრძნობა. ამ თანაგრძნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც გინდა იყოს, რუსეთი ერთი ხაწილია კაცობრიობისა და, როგორც ხაწილი, შეკავშირებულია მსოფლიო ცხოვრებასთან. რაც გინდა განზე იდგეს რუსეთი, რაც გინდა რომ სცდილობდეს შეიმუშავოს განსაკუთრებული და თავისებური კულტურა, მაინც იგი ვერ აიცილებს მსოფლიო წინსვლელობის ზედგავლენას და ევროპის უფლებრივი ცნობიერება ბოლოს რუსეთშიდაც გამოიწვევს შესაფერ მათხოვნილებას. საზოგადო აზრი ჰქმნის უფლებას.

თუ მთელი ევროპის თვალი მიქცეული იქნება ჰეტერობურებს, მანაც უნდა ან თვალი ძირს დაუშვას უხერხულობის გამო, — და ეს კი რა სკადრისაა?! — ან თავი მდლას ასწიოს და თავისუფლად თვალი თვალს გაუყაროს. — ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ფინლანდიის ზოლიტიკა დაადგება სამართლიანობის გზას. აი, რა მნიშვნელობა აქვს ევროპის უურადლებას. ამიტომ ფინლანდიის ზარტიოტები დიდს ავითაცინას ეწვეიან ეხლამთელს ევროპაში.

გ. გვაზავა.

ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ლექციები

ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

ტაო-კლარჯეთისა და სამცხის გარდა ქართველები უცხო ქვეყნებშიაც აგებდნენ მონასტრებსა, — წმინდა ადგილებში და ათონის მთაზედ. მეათე და მეთორმეტე საუკუნეში ეს მონასტრები სახელოვანნი იყვნენ შესანიშნავ მოღვაწეებითა და მწერლებითა.

ათონის მთა საბერძნეთში და შავი მთა ასსურეთში ამ მხრით ყველაზედ უფრო შესანიშნავნი იყვნენ. ქართველ ბერებს საქართველოს მეფენი ყოველთვის დიდ მფარველობას უწევდნენ. ბერძნებთან კი ქართველებს დიდი ბრძოლა სჭირდებოდათ. ბერძნები წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს ავტოკეფალიისა, მწვალებლებადაც კი სთვლიდნენ ქართველთა და ამ ნიადაგზედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებდა ქართველთა და ბერძნეთა შორის. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა მაშინდელი ქართველთა საეკლესიო-საისტორიო მწერლობა, საიდანაცა სხანს, რომ ბრძოლიდან ქართველები უნდა გამოსულიყვნენ გამარჯვებულნი. ქართველებმა პირდაპირ გადასწყვიტეს, რომ მონასტრებში აღარ მიელოთ ბერძნულად მოლაპარაკე ბერები.

გიორგი მთაწმინდელი საუკეთესო წარმომადგენელი იყო ამ ბერთა ათონის მთაზედ და მანაც

აღწერა იმ დროინდელი მდგომარეობა. მან აღწერა „ცხოვრება წმ. იოანესი და წმ. ეფთვიმესი,“ მონასტრის დამწყობთა და შესანიშნავ მთარგმნელისა, როგორც იყო ექვთიმე. გიორგი მთაწმინდელი შესანიშნავი ისტორიკოსი იყო. გარდა იმისა, რომ იგი იმ დროინდელ ცხოვრებაზედ შესანიშნავ ცნობებს გვაძლევს, იგი განირჩევა სხვა მწერალთაგან მართლაც უშესანიშნავეს ენით; მან განაახლა სხოლასტიზმი და სრულიად ახალი მიმართულება შეიტანა ქართულ მწერლობაში.

მისი მოწაფე გიორგი მცირე, თუმცა ბევრათ ჩამოურჩებოდა გიორგი მთაწმინდელსა, მაგრამ თავის თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ მან პირველად იხმარა შედარებითი მეთოდი ისტორიულ მოთხრობის დროსა. მან აღწერა აგრეთვე ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და წინააღმდეგ სხვა მწერალთა ამტკიცებდა, რომ მოციქულნი არას დროს არა ყოფილან საქართველოში.

ეფრემ მცირე მესამე შესანიშნავი მწერალია ათონის მთისა. იგი მთარგმნელი იყო. თარგმანება მაშინ მეცნიერებას ნიშნავდა. მან დასწერა აგრეთვე ქრისტიანობის გავრცელების ისტორია საქართველოში და შეკრიბა აუარებელი ცნობა და არგუმენტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცველად ბერძენთა წინააღმდეგ. მან დასწერა ამასთანავე ცხოვრება გიორგი მცირისა და სხვა.

გარდა საეკლესიო ისტორიის წყაროთა მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობაში მოიპოვება ძლიერ განვითარებული სამოქალაქო ისტორიის წყაროები.

პირველი ასეთი წყარო არის, რასაკვირველია, „ქართლის ცხოვრება.“ როდის გაჩნდა „ქართლის ცხოვრება“, — ჯერ გამოკვლეული არ არის. ეჭვს გარეშეა მხოლოდ, რომ იგი კრებულია, სხვა და სხვა დროს დაწერილი, ხოლო იგი ერთის ავტორისაგან არის დაწერილი მერვე საუკუნიდან დავით აღმაშენებლამდე.

„ქართლის ცხოვრება“ ნიშნავდა საქართველოს ისტორიას, და „ქართლიც“ მეთერთმეტე საუკუნეში პოლიტიკური ტერმინი იყო, მთელი საქართველოს აღმნიშვნელი და არა მარტო ერთი პროვინციისა.

უპირველეს ყოვლისა „ქართლის ცხოვრება“ იმითა შესანიშნავი, რომ ქრონოლოგია მისი სწორია, როდესაც ვადარებთ სხვა, უცხო ისტორიულ წყაროთა ქრონოლოგიას, მაგალითად ბერძნულსა.

„ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია საქართველოს ისტორია მერვე საუკუნიდან დავით აღმაშენებლამდე (შეტანილია მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“) ეკუთვნის, როგორც ვსთქვათ, ერთ ავტორს, რომლის ვინაობაც ჯერ გამოურკვეველია. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ამ ნაწილში წესი თხრობისა ერთია,

აგრეთვე თვითოეული მეფის დეაწლი თითქმის ერთისა-და იმავე სიტყვებით არის დახასიათებული. მას თანამედროვე წყაროები ჰქონია, როგორც სხვანაირად და მათი საშუალებით დაუწერია ისტორია ავტორის ალბად სცხოვრობდა დავით აღმაშენებლის მამის დროს (XI საუკ.), თვით დიდ დავითს კი არ მოსწრებია, თორემ არ დასწერდა — ბაგრატ მესამე ყველა საქართველოს მეფეზე მაღლა იდგა.


ეს თხზულება უნდა იყოს ის, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უწოდებს „მატიანე ქართლისა ძველი“, რადგანაც ეს ისტორიკოსი ამბობს, რომ ამ თხზულებაში მოიპოვება აღწერა აზნაურთა ლალატისა მეფისადმიო. მართლაც მარტო ამ მატიანეშია ნაამბობი ეს მოღალატეობა, და ალბად მის ავტორსაც უნდა ეკუთვნოდეს სათაური „მატიანე ქართლისა“, ან თვით „ქართლის ცხოვრება“.

ავტორს ხელთა ჰქონია საუცხოვო ქართული წყაროები, როგორც ეს მტკიცდება იმ დროინდელ სომხურ, არაბულ და ბერძნულ წყაროებთან შედარებით. იგი მდიდარია აგრეთვე ქრონოლოგიური ცნობებით წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა. იგი ერთ თარიღს აღნიშნავს ხოლმე და მერმე მას შემდეგ განვლილ წელთა რიცხვსა. მხოლოდ ანგარიშია საჭირო და შემდეგ თარიღებს ყოველთვის მივაკვლევთ.

მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება შემდეგის სათაურით: „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისა“. მაგრამ ავტორის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, მაგრამ შეიძლება იგი ოდესმე გამოიკვვეს. ავტორი მეფის დაახლოვებული კაცი უნდა ყოფილიყოს, რადგანაც იგი აღწერს ომებს, რომელიც უნახავს დავითთან ერთად, აღწერს მეფისაგან ავადმყოფთა ნახვასა და სხვ.

ავტორი მეფის მომხრეა და წინააღმდეგი აზნაურთა. ამიტომაც მისი თხზულება აგრეთვე საპოლიტიკო პუბლიცისტური ნაწარმოებიც არის. მან დაიწყო დავითის ისტორიის მოთხრობა მისი მამიდან, გიორგი მეორიდან, რათა ეჩვენებინა, თუ როგორ შექმნა დიდებულმა მეფემ აზნაობისაგან უძლიერისი სამეფო.

ისტორიკოსი იგივე მიმართულების იყო, როგორც თვით მეფე დავით. იგი მეფის თაყვანისმცემელი იყო და ებრძოდა აზნაურთა და საქართველოს ერთობის მტერთა თავის თხზულებაში. ავტორი ფრიად განათლებული კაცი ყოფილა და ამიტომაც სარგებლობდა ყველა იმ დროინდელ უცხო წყაროთი. როდესაც ამ უცხო წყაროებს ვადარებთ მის ნაწარმოებს, მტკიცდება ამ უკანასკნელის სიმართლე. ხასიათი მისი ისტორიისა საეროა, ან გავროვნებული საეკლესიო. ავტორი უკვე სარგებლობს წარმართთა წყაროებით.



მსჯელობა ისტორიკოსისა ისეთია, როგორც შეფერვა ყოველის მხრით იმ დროინდელ განათლებულ კაცს, მაგრამ მას ერთი იშვიათი ღირსება აქვს საზოგადოდ იმ დროის მიხედვით: იგი უკვე ღრმად სწვდება, გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე გიორგი მცირე, შედარებით მეთოდსა. იგი ამბობს, რომ პირადი ნიჭი საკმარისი არ არის დიდ საქმეთა აღსასრულებლათ, არამედ საჭიროა აგრეთვე საზოგადოებრივი და სხვა გარეშე პირობებიო. დავით აღმაშენებელი პირადი ნიჭით სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდა ალექსანდრე მაკედონელს, შეიძლება მაღლაც მდგარიყო მაზედ, რადგანაც დავითი რომ ალექსანდრეს პირობებში ყოფილიყოს, შეიძლება უფრო დიდ საქმეებს გააკეთებდა, და ალექსანდრე რომ დავითის პირობებში ყოფილიყოს, შეიძლება დავითისოდენსაც ვერ შესძლებდაო.

საუბედუროდ ამ თხზულებას შესავალი აკლია, სადაც გიორგი მეფის დროის აღწერა უნდა იყოს. თავდება ისტორია მეფის გარდაცვალების შემდეგ. როგორც არა ერთხელ ვსთქვით, „ქართლის ცხოვრება“ კრებულია სხვა და სხვა ისტორიათა, რომელთაგანაც თვითოეული შედგენილია ერთის მწერლისაგან, ერთის მიმართულებითა; შემდეგ თვით კრებულსაც ერთის მიმართულების ხასიათი აქვს მიცემული.

თამარ მეფის ისტორიაც ასეთის ხასიათისაა. ავტორი პირველად ხმარობს სიტყვას „ისტორია“. ვინაობა ავტორისა აგრეთვე არ ვიცით. შინაარსი შესავლისა, — მეფეთა გენეალოგიაა. იგი ამბობს, მოთხრობილი ამბავი ნახული და გაგონილია ნამდვილ მოწმეთაგანაო. ავტორი მართლაც თანამედროვე იყო თამარისა. როგორცა სჩანს, პირველად დაახლოვებული ყოფილა მისი, შემდეგ კი განშორებია. უსაყვედურებს კიდევ თამარის მახლობელ კაცებს, — ავადმყოფობის დროს მეფეს ვერ მოუარეთ რიგინადაო. ისტორიის წერა ავტორს დაუწყია თამარის მეფობის მეთორმეტე წელსა. ისტორიკოსი მოწინააღმდეგეა მრავალ-მთავრობისა და რევოლუციისა, ამიტომაც იგი საშინელი მოწინააღმდეგეა ყურთლუ არსლანისა და მის მომხრეთა. იგი მომხრეა ერთ-მთავრობისა და მეფის უფლებისა, მეფის პოლიტიკისა.

მნიშვნელობა თამარის ისტორიკოსის თხზულებისა დიდია მიუხედავად იმისა, რომ იგი ძლიერ ხოტბური ენით არის დაწერილი. მაგრამ უმთავრესი ცნობანი მართალნი არიან, რაიცა მტკიცდება მისი შედარებით არაბთა და სხვა ისტორიკოსთა ცნობებთან.

ეს თხზულებაც მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი, მაგრამ პირველი ნაწილი ძლიერ გადამახინჯებულია, ბოლო კი არ არის შენახული მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“.

ამით თავდება საუკეთესო ხანა ჩვენის საისტო-

რიო მწერლობისა, როგორც საზოგადოდ მწერლობისა. ამ დროს საქართველო ძლიერი იყო, მსაჯულნი იყო მისი საზღვრები: აღმოსავლეთით კავკასიონის დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი და სამხრეთით სპარსეთი. საქართველოც გალალეული იყო და ორგანიულად ვითარდებოდა, პროგრესის გზაზედ იდგა. ვითარდებოდა ყოველი დარგი მისი ნივთიერი და სულიერი ცხოვრებისა. ვითარდებოდა კერძოდ მწერლობაცა და საისტორიო მწერლობაცა.

მაგრამ მონღოლების შემოსევამ წელში გასწყვიტა საქართველო, დააქვეითა იგი ყოველის მხრით და კერძოდ ეს დაქვეითება და მონღოლთა ბატონობის გავლენა საისტორიო მწერლობასაც დაეტყო.

B.

(შემდეგი იქნება)



მთამა ჰოტკვა.

ვდგევარ და თვალი მიხუჭავ,
 თოვლ-ფიფქო, თავზედ მედები.
 ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს,
 ოცნებით თავზედ ვევლები.
 თვალი კი ვერ გამიხილავ, —
 მტერო, წინ ამეხეჩები.
 ნეტავი ან მე დამთხია *)
 და ან ეგ მოჰკლა წყეული,
 ჩვენს სახლ-კარზედა ბატონობს
 საით სად გადმოთრეული;
 შურისძიებამ შემიპყრო,
 ვარ თავ-გულ-გამორეული. **)
 დახე, როგორა გვერთგულობს,
 როგორ გვისრულებს აღთქმასა:
 ჯერ დაგვაშიშვლა, დაგვცარცვა,
 ახლა გვიპირობს დაქმასა.
 თუ კიდევ რას გამოგვრჩება?
 კი დაგვაჯერებს ამასა?
 დღესნამდე სიყვარულისა
 მისთვისაც მქონდა კუნჭული,
 ეხლა კი გამომერეცხა,
 ცოფით ამევსო სულ-გული.
 ბნელეთის ზღვაში დამენთქა
 საკაცო-მოყვარო კუნძული.
 წმინდა და სპეტაკს გულშია
 ზღვევის ჩამისხდა: გველები,
 მგელი, სისხლ-ხორცი თქმლები

*) დამთხია — დამკარგა,
 **) თავგულგამორეული — მოთმინება დაკარგული.

და ვეფხვი შეუბრალები!

მწეწენ და მლადრვენ, არ ვიცი
როდის მოვთხოვოთ ვალები?

მიწყდება ბეწვი მოთმენის,
წამ-ერთი ჭირად მიხდება.

ყოფადი—ნადრევი ჰჯობს,
ქმნადი—რაც მალე იქმნება.

თუ ისევ მოკლედ, თორემ
მერე გვიანდა იქმნება.

ბაჩანა.



მოკლედ მიმოხილვა ქართულ მწერლობისა

უძველეს დროიდან.

დამოუკიდებელი ან ოპროს ხანა.

X

შოთა რუსთაველი.

სხვა და სხვა აზრი „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის
შესახებ.

(გაგრძელება)

ს. ქვარიანის განმარტება „ვეფ. ტყაოსნის“
სიუჟეტისა თავისებურია¹⁾. ბ. ქვარიანსაც „ვეფ.
ტყაოსანი“ საქართველოს ისტორიულ ცხოვ-
რების გამომსახველად მიაჩნია. როსტევან მე-
ფე და ფარსადან, მისის აზრით, ერთი და
იგივე პირია—გიორგი მეფე; ნესტან და თინათინ
ერთი და იგივე პირია—თამარ მეფე; ავთანდილ—
ეს მეფის კარზე აღზრდილი სპასპეტი—მშვენიერი
დავით სოსლანია. ვინაა ფრიდონ? ვინ არის „ედემს
ზრდილი“ შავბედიანი ტარიელი, რომელზედაც
ფარსადან მეფე ამბობს: „ავდგები და შვილად გავ-
ზდი, თვით ჩემი გვარი არსა“, რომელიც შემდეგში
აუჯანყდება მეფეს, გამაგრდება ციხეში და მოინ-
დომებს მეფობას? ეს ორი გმირი ჩვენთვის უცნო-
ბია; შოთა სასტიკად მალავს მათს ვინაობას. არ
ვიცი, თუ რომელი ისტორიული პირია ტარიელი,
ან რა არის მისი ნამდვილი სახელი. ის არ არის
დავით სოსლანი; ავთანდილი და ტარიელი არ
არიან ერთი და იგივე პირი, ორადი. ამ ორ ადა-
მიანს სულ სხვა და სხვა სული და ფიზიონომია
აქვს. მხოლოდ არის ერთი უცნაური მზგავსება
მათ შორის: ორთავეს უყვართ თამარი. ერთს უყ-
ვარს გატაცებით თამარ-ნესტან ნორჩი, მეფედ კურ-
თხვეამდე, მეორეს თამარ თინათინ გვირგვინოსანი
დინჯათ, მოთმენით. სჩანს, თამარს სხვა და სხვა
დროს ჰყოლია ორი მიჯნური, ჰქონია ორი რომა-

ნი. პირველი—ძლიერი, მწვავე და ქეშმარიტი სიყ-
ვარული თავის ნათესავთან, ტახტის მემკვიდრე-მშვე-
ნიერ ტარიელთან, მეორე კი უფრო დიმიტი სპასპე-
ლის კარზე აღზრდილ ავთანდილ—დავითთან.

პირველი მიჯნური თამარისა, ბ. ქვარიანის
ჰიპოტეზით, ყოფილა მეფე გიორგის ძმისწული, თა-
მარის ბიძაშვილი, კანონიერი ტახტის მემკვიდრე—
დავითის ნორჩი ძე დიმიტრი ანუ დემნა.

გიორგი მხოლოდ რეგენტი იყო და, როდესაც
დავითი ასაკში მოვიდა, გიორგის ტახტი უნდა
დაეთმო მისთვის²⁾.

თამარს და დემნას გაგიჟებით შეუყვარდათ
ერთმანეთი და კავშირიც ჰქონიათ. მეფე საშინლად
აუშფოთებია ნესტან-ტარიელ-თამარ-დემნას სიყვარულს:
ის ტარიელ—დემნას ეძახის „ბოზ-კუროს“
და უქადის სიკვდილს. სარწმუნოებრივ ფანატიზმით
დაბრმავებულ მეფე გიორგისათვის წარმოდგენილია
დემნა-თამარის შეუღლება და ორთავეს გამეფება,
რადგანაც ისინი იყვნენ ახლო ნათესავნი... ორტო-
ლოქსთა წარმოდგენით, მეფის სასახლე შემწიკვლა
ამ უკანონო რომანმა, შელახა მეფის პირადი ღირ-
სება. მხოლოდ ეს დანაშაული გახდა სასახლის საი-
ღუმლოდ. გიორგი აღინთო შურის-ძიებით შეურ-
რაცყოფისათვის. ჩქარა შემთხვევაც მიეცა. რო-
გორც ისტორიიდან ვიცით, გიორგიმ გასტეხა ფი-
ცი და თვით ავიდა სამეფო ტახტზე. ქალიც შეე-
ძინა და მას უმზადებდა ტახტს. მაგრამ ამავე დროს
გაიზარდა დემნა; იგი შეიქმნა ფრიად მშვენიერი,
მკოდნე და გულადი ჭაბუკი.

ბიძას არ სურს მისი გამეფება. დემნას დარჩე-
ნია მხოლოდ ამბოხება. ჩვენ არ ავსწერთ ამ ამ-
ბოხების ისტორიას. ვიტყვით მხოლოდ, რომ გიორ-
გი სასტიკად მოექცა დემნას გამარჯვების შემდეგ:
ის მას სთბრის თვალს და ასაჭურისებს. რამოდენიმე
ხნის შემდეგ დემნა კვდება კლდე-კარის ციხე-
ში. საზოგადოდ ლმობიერმა და სვიანმა მეფემ, ასე
სასტიკად დასაჯა თვისი ძმისწული არა „კანონიერ“
მოთხოვნისათვის, არამედ შური იძია, სისხლი აი-
ლო. ეს დიდებულების და სამღვდელოების სურვი-
ლიც იქნებოდა, თორემ გიორგის რომ ტახტის კან-
ონიერი მოთხოვნისათვის დაესაჯა ასე ველურად
თვისი მშვენიერი და ახოვანი ძმისწული, მაშინ
უსათუოდ ასეთის მოქმედებისათვის მას გაკიცხავდ-
ნენ დიდებულნი, მემატთანე და სამღვდელოება.
მაგრამ ესენი გიორგის კი არა, თვით ბედშავ დემ-
ნას ჰგმობენ და კრულავენ. „ქართ. ცხოვრება“ პირ-
დაპირ ეძახის დემნას „ღვთის უშიშარს და ქრის-
ტეს მცნების და სჯულის გარდამავალს“. აქ რომ
სხვა არ ყოფილიყო, მარტო აჯანყებისათვის არ
უწოდებდნენ მას ამ საშინელ სახელს...

¹⁾ იხ. „მოამბე“, 1903, №№ VII და VIII.

²⁾ იხ. ვახუშტი „საქ. ისტ.“, გვ. 189; „ქართ. ცხ.“
ბროსეს გამოც., ნ. I, გვ. 272—273.

ეს საშინელი ამბავი იცის თამარმა; ამ საშინელ სურათს მხერს დემნას მომხრე და მეგობარი— შოთა; ამ საზარელი სურათით შფოთავს პოეტის გული. ისტორიულ მემკვიდრეს არ შეეძლო ეთქვა, თუ რა ნიადაგზე დატრიალდა დემნას ტრაგიზმი, არ შეეძლო ეთქვა, თუ რა კავშირი იყო თამარსა და დემნას შორის: ის გვამხელს მხოლოდ ამ უბედურ სიყვარულის შედეგს. შოთა კი ამღერებს ჩანგზე თვით ამ სიყვარულს, მაგრამ ისიც ვერ შეეცაზოდა ისტორიულს სინამდვილეს, ვერ აუწყებდა ქვეყანას დემნას საშინელ ტანჯვას. ეს მეტად აშკარა იქნებოდა.

მისი მიზანი სულ სხვა იყო—სიყვარულის გრძნობის ამაღლება ქართველ ერის თვალში და მით თამარის სახელის აღდგენა. „რუსთაველი გვეუბნება იმას, რასაც ვერ ვმზერთ ისტორიულ წიგნებში, ეს წიგნები კი მას, რასაც ვერ ვპოულობთ პოემაში. ამ რიგად „ვეფ. ტყაოსანი“ და ისტორიული მათემატიკის ამთავრებენ ერთმანეთს“.

დიდებული შოთა მოწამე იყო საშინელის ტრაგედიის: ის ხედავდა, რა რიგ შეიქმნენ ორი მშვენიერი ახალგაზდა, ორი ზენაარი სული, ეს ტახტის მემკვიდრენი, უმეცრების და ფანატიზმის მსხვერპლნი, პოეტი ხედავდა, თუ რა რიგ გასთელეს და გაკიცხეს მათი ციური გრძნობა, მათი ღვთიურ სიყვარული, რა რიგ მოსცხეს მათ ბუნებრივ საქციელს საზიზღარი ჩირქი და მონათლეს ორივე უკმეხი სახელით.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ შოთას აკერთო მათთვის თავისი უკვდავი ჩანგი, გამოსულიყო მათ დამცველად, აღმოენთხიოს სიბრალულის ცრემლების ნაკადული და ეთქვას:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლ—დანთხეული“
და—„მო დავსხდეთ ტარიელისთვის
ცრემლი გვდის შეუშრობელი“.

პოეტი მუდამ მტირალი და ცრემლ შეუშრობელია ტარიელისთვის.

გათავდა საშინელი დრამა... თამარი აკურთხეს მეფედ. მოვალეობა და სამშობლოს სიყვარული ამაგრებენ ამ სულით წამებულ ადამიანს, უმსუბუქებენ ჯავრს და კავშანს. მაგრამ თამარი უკვდავი არ არის; ის ემორჩილება ქრონოსის ულმო კანონს. ქვეშევრდომნიც გრძნობენ ამას და ურჩევენ თამარს გათხოვებას. მას ეძლევიან დიდი სულთნები და ემირები, ბიზანტიის და რუსეთის პრინციები, კავკასიის მთავართა შვილები. თამარი უარზეა. რათ არ სურს მას გათხოვება? ადვილი გასაგებია. მიზეზი მისი ტანჯული გრძნობაა, მისი გმობილი სიყვარული და ასე რიგად გათელილი პირველი სიყვარული. თამარს არ ასვენებენ. მაში იბრძვის ორი გრძნობა. სამშობლოსადმი მოვალეობამ დასძლია და მისთხოვდა გიორგი რუსს. თამარი ვერ შერიგებია იმ აზრს, როგორ

უნდა შელახოს თვისი უბიწო გრძნობა და როგორ უნდა გაუზიაროს სარცელი სხვა კაცს. ამისათვის გიორგის ის იშორებს ქორწილის მეორე დღეს ხალხურად ყარნუ ქალაქს. ბოლოს გაეყარა კიდევ კვლავ თხოვნა, კვლავ ვედრება. ახლა ნარნარმა თინათინ-თამარმა გაუწოდა ხელი თვის ერთგულს, მომთმენს და ჩუმიდ მიჯნურს დემნა-ტარიელის მეგობარს მშვენიერ თვალ-ტანად ავთანდილს... დადგა მათთვის ბედნიერი და სახელოვანი დრო. შოთა შეიქმნა მოლარეთ უხუცესი. მაგრამ თამარ-დავითის სინათლეს „ბნელი ახლდა“. მუხანათები თამარის წარსულ რომანის შესახებ ავრცელებდნენ ცუდს და ურიგ ხმებს. ამით ხარობდნენ ტახტის ორგულნი, სწუხდნენ ერთგულნი. ეს გარემოება ძლიერ აღონებდა თამარს და მის ქმარს. აქ ბრძანება, სიმკაცრე და სასჯელი ვერ გასჭრიდა. აქ საჭირო იყო ციური ქნარი და მგოსნის ზენაარი ჰანგები, რომ ემხილა ქვეყნისათვის სიყვარულის ძალა და სიდიადე და მით მოეწმინდა დემნა-დავით-თამარისათვის საშინელი ჩირქი. ამ მძიმე საქმის შესრულება შეეძლო მხოლოდ სულმნათ შოთას, დემნას, თამარის და დავითის მეგობარს. და აკი მას „უბრძანე მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. მან აასრულა მონდობილება საოკარის ხელოვნებით „ორგულთა მათდა დამწყვეტად, ერთგულთა გამამაგრებლად“.


შოთამ საყოველთაოდ აუწყა ძალა სიყვარულისა და დაამტკიცა, რომ „მიჯნურობა არის ტურფა საცოდნელად ძნელი გვარი, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.“ მართლაც, პოეტმა გამოიჩინა ადამიანის სულის შეუდარებელი ცოდნა.

ერთის სიტყვით, ს. ქვარიანის აზრით, პოემა ნათარგმნი არ არის, არც შეკრებილი ლეგენდები და პოეტის ოცნების ნაყოფი: მასში სჭვრის ისტორიული ფაქტი, ე. ი. სასახლის დრამა და დინასტიური განხეთქილება. პოემა თარგმანი რომ იყოს, რათ უნდა წინასიტყვაობა? წინასიტყვაობა უსათუოდ საჭირო იყო იმისთვის, რომ უფრო გაესვა ხაზი და აესხნა საქვეყნოდ მიჯნურობის დიადი მნიშვნელობა, თამარის ზნეობის სიფაქიზე და ზენაარება.

ამ წინასიტყვაობაში რუსთაველი დემნა-თამარის თავდადებული ვექილია.³⁾

ვაჟა-ფშაველა გადაჭრით ამბობს, რომ „ვეფ. ტყაოსანი“ შოთას ნაწარმოებია და ამ ქმნილებაში გამოხატულია პოეტის თანამედროვე ეპოქა, ოქროს

³⁾ ბ. დ. კარიჭაშვილის აზრით კი „ვეფ.-ტყაოსნის“ წინასიტყვაობას არაფერი საერთო არა აქვს თვით თხზულების მოთხრობასთან და მისი ტაეპები სხვა და სხვა პირთაგან და სხვა და სხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილი... ამ ტაეპებში ბევრი შეუსაბამობა, უაზრობა, ტრაბახობა და ნახტომებია. მათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს და დომხალივით არიან ერთმანეთში არეულნი და ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. (იხ. „ვეფ.-ტყ.“ მე XIX გამ., გვ. VIII IX და XIII.)



საუკუნე, „რომელიც იალბუზივით ქედ-მოღერებულ
 სდგას მთელ საქართველოს ისტორიაში. „ვეფ.
 ტყაოსანი“ ამოღებულია ქართველის გულიდგან,
 გამომხატველია ერის არსებისა. ამისათვის შეიყვარა
 ქართველობამ ეს პოემა და შეისისხლხორცა. ვაჟა
 არ ეთანხმება იმ აზრს, რომელიც გამოთქვა ბ. ხა-
 ხანაშვილმა, ვითომც „ხალხური ნაწყვეტი ლექსები
 ტარიელზე გარდაქმნილ იყოს ლიტერატურულ პო-
 ემად, პოეტს შეეტანოს მათში კაცის ამამაღლებელი
 და გამასპეტაკებელი გრძობა სიყვარულისა, თავიდ-
 გან ბოლომდის გაეტარებინოს ეს აზრი და ამით
 შეესრულებინოს დაწყვეტილი საერო ლექსები. შო-
 თას გაუმშვენებია ხალხური პოემაც ფილოსო-
 ფიური მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტური
 აღმაფრენით“.⁴)

ვაჟა-ფშაველა ამბობს: ვითომ რათ არ უნდა
 ვიფიქროთ, რომ შინაარსი, ფორმა, მომენტები
 პოემაში ლიტერატურულია და არა ხალხური?...
 ნუ თუ რუსთაველი ერს არ ეკუთვნის და ერის ღვი-
 ძლი შვილი არ არის? ნუ თუ თამარის დიდებული
 ეპოქა ზვის გამოჩენილ ისტორიულ პირობით, მჩქე-
 ფარე გამარჯვებული ცხოვრება არ აღაფრთოვანებ-
 და შოთას, არ აუყდრებდა მას ჩანგს, არ აძლევ-
 და მასალას ტიპების შექმნისას, შინაარსს „ვეფ.-ტყა-
 ოსნისათვის“? ნუ თუ ისტორიულ ეპოქას ნაკლები
 მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედებისათვის, ვი-
 დრე საერო თქმულებას?..

ვაჟა-ფშაველა ასე დაასკვნის: ლიტერატურული
 „ვეფ.-ტყაოსანი“ წინეთ ყოფილა გავრცელებული
 ხალხში, ხალხს შეუყვარებია პოემა და რაც დავი-
 წყებია პოემიდგან, ის თითონ უკეთებია და უმა-
 ტებია. ხალხს რომ ეს ზნე სჭირს, ეს უბრალო მა-
 გალითითაც მტკიცდება. ხევის-ბერი თვის „დიდე-
 ბაში“ ნაცვლად იმისა, რომ სთქვას „კანას გალი-
 ლიასა წყალი ღვინოდ გარდაჰქმენო“, ამბობს: „სკა-
 ნი სკანარეო, წყალი იორდანეო, წყალი ღვინოდ
 შესცვალეო.“⁵)

მეორე აზრი: „ვეფ. ტყაოსანი“ არ არის ორი-
 გინალური ნაწარმოები: ის თარგმანია სპარსულ
 ორიგინალისა.. შოთამ მხოლოდ გალექსა ეს ორი-
 გინალი. მან, როგორც ნიჭიერმა პოეტმა, რასაკვი-
 რველია, თარგმანს თვის ინდივიდუალური შემოქ-
 მედების ელფერი და დალი დაასვა... მაშასადამე,
 „ვეფ.-ტყაოსანი“ სრულებით არ ხატავს ქართულ
 თანამედროვე ისტორიულ ცხოვრებას... ასეთი აზ-
 რი, სხვა და სხვა ვარიაციით, გამოთქმული აქვს
 აკად. მარრს, იუს. აბულაძეს, ნ. დ. და სხვებს.

აკად. მარრი ჯერ ისევ სტუდენტობაში შე-
 უღდა „ვეფ.-ტყაოსნის“ კვლევა-ძიებას.

გატაცებული და კვლევა-ძიებაში ჯერ კიდევ
 არც ისე დახელოვნებული ახალგაზდა მარრი, წი-
 ნალმდეგ იმათი, ვინც „ვეფ.-ტყაოსანს“ მისწავლ-
 ლურ თვალსაზრისით უყურებდნენ, მისწავლეს და
 რომ რუსთაველის პოემა თარგმანია სპარსულიდგან
 შოთას ეკუთვნის მხოლოდ გალექსვა და ამ ნაწარ-
 მოების ორიგინალი ბრიტანიის მუზეუმში ინახებაო.

როდესაც მარრი ამ აზრს თავამოდებით და
 რიხით ამტკიცებდა, მას, რასაკვირველია, სრულე-
 ბით არ ჰქონდა მიზნათ, რამე არა-პატიოსნურ მო-
 საზრებით, ქართველები დაემცირებინა და შეეღაზა
 ის, რითაც რვა საუკუნის განმავლობაში ამყობს ქარ-
 თველობა. მართალია, მარრმა გამოთქვა უკიდურე-
 სი აზრი (ის ემყარებოდა შოთას სიტყვებზე), მაგ-
 რამ ეს შედეგი იყო მხოლოდ ქაბუკობისა და ქა-
 ბუკური გატაცებისა.

ამ ბოლოს დროს ბ. მარრმა შესამჩნევად შეი-
 ცვალა შეხედულობა ამ საკითხის შესახებ. რასა-
 კვირველია, ბრიტანიის მუზეუმში მან ორიგინალი
 ვერ აღმოაჩინა და ამით თავისთავად გამოირკვა,
 რომ მისი ჰიპოტეზა იყო ლალი ფანტაზიის ნაყოფი
 და არა ჭეშმარიტება.

თვის გამოკვლევაში «Тексты и разыскания
 по армяно-грузинской филологии» (вып. IV, 1902,
 გვ. 55—56), მარრმა შეასწორა რამოდენადმე თავისი
 ჰიპოტეზა. ის ახლა არ სთვლის „ვეფ. ტყაოსანს“
სპარსული რომანის უბრალო თარგმნად. „ადვი-
 ლი შესაძლებელიაო, ამბობს მარრი, „ვეფ.
 ტყაოსნის“ ყურადღებით შესწავლამ აღმოაჩინოს
ამ ლექსად გადაკეთებულ სპარსულ რომანში
 შეგნებული დასურათ-ხატება ქართველ ავტორის
 ნაცნობი ტიპებისა და მოვლენებისა პოეტური ივა-
 გაკვრით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნე-
 ბოდა თანამედროვეთათვის. ეს ივაგ-გაკვრითი პოე-
 ზია დღეს რამდენადმე გამოსჭვრის“⁶).

1906 წ. მარრმა უარპყო ის, ვითომც „ვეფ.
 ტყაოსანი“ სპარსულ ორიგინალის უბრალო თარგ-
 მანი იყოს. მისის აზრით, „ვეფ. ტყაოსანში“ მხო-
 ლოდ „სიუჟეტია ნასესხები აწ დაკარგულ სპარსულ
 ორიგინალიდგან“⁷),


ბ. იუს. აბულაძემ „ძველ საქართველოში“
 დაბეჭდილი რეფერატში „ვეფ. ტყაოსნის“ შესახებ
 გამოსთქვა შემდეგი აზრი: „ვეფ. ტყაოსანი“ არის
 ერთ-ერთი სპარსეთში შემუშავებულ არაბულ თქმუ-
 ლებათაგანი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შესახებ.
 ეს თქმულება პროზით ყოფილა „ქართულად ნა-
 თარგმანები“. რუსთაველს ეს თარგმანი უპოვნია და
 გაუღლექსავს. ქართულ მწერლობის ყურადღება და
 გატაცება სპარსულ ლიტერატურის ნიმუშებით ბუ-

⁴) ბ. ხახანაშვილის აზრი ჩვენ მოგვყავს ვაჟას გად-
 მაცემაში.

⁵) იხ. „ივერია“ 1890 წ., № 39.

⁶) ეს ადგილი მოგვყავს ბ. აბულაძის თარგმანში („ძვე-
 ლი საქ.“, გვ. 72)

⁷) პრ. მარრი „Ист. грузин“, გვ. 33.



ნებრივი იყო, რადგანაც საქართველო ამ დროს აღმოსავლეთის კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. რუსთაველის „ვეფ. ტყაოსანი“ შინაარსის მხრით არაფერს განსხვავებულს არ წარმოადგენს სხვა იმ დროინდელ სალიტერატურო ნიმუშებთან შედარებით... „ვეფ. ტყაოსანი“ ერთის სიტყვითაც არ ეხება ქართველებს და მათ ჩვეულებას. ავთანდილი არაბია, არაბეთის მეფის როსტეფანის კარზე გაზდილი. ტარიელიც არ არის ქართველი. მთელი პოემა სპარსულ ტიპის ზღაპრული მოთხრობაა; ის გაქდენტილია წმინდა მუსულმანურ-არაბულ-სპარსულ ტენდენციით. პოემის გარეგანი მხარეც ცხადად მოწმობს, რომ პოეტს ხელთ ჰქონია სპარსულიდან ქართულად თარგმნილი სადევ-გმირო ამბავი: მაგ., უცხო სიტყვათა უმეტესობა ან წმინდა სპარსული ან და გასპარსებული არაბულია. საკრავების, ძვირფას ქვების სახელებს შეუნახავთ სპარსული ფორმები. მომეტებულად საკუთარი სახელები, როგორც პირთა, ისე გეოგრაფიული, სპარსულ-არაბულია...

ლიახ, რუსთაველს აულია სიუჟეტად სპარსული სადევ-გმირო ამბავი, რომელიც პროზათ ყოფილა ქართულად გადმოთარგმნილი. მაგრამ, „ვეფ. ტყაოსანის“ დამწერს წინაღვე ჰქონია გადაწყვეტილი დაეწერა ისეთი თხზულება, რომელშიაც შეიძლებოდა წრფელის რაინდულ სიყვარულის დახატვა. ამისთვის ის სცვლის თვის გემოვნებაზე ზღაპრულ მოთხრობას, ცდილობს გადააკეთოს და გადმოაქართულოს ფაბულა. მას სურს მისცეს ზღაპრულ მოთხრობას უფრო სარწმუნო და არა ფანტასტიური ხასიათი. ამ ნაირად შოთამ, უფერული მოთხრობა ირანულ ზღაპრულ გმირთა შესახებ, თავის გენიის წყალობით აღიყვანა მხატვრობის უმაღლეს ხარისხამდე, აქცია უკვდავ ნაწარმოებად, ნამდვილ ეპოპეად, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ასე მწყურვალეობით ეწაფებოდა ქართველი ერი ⁸⁾.

ბ. ნ. დ. 1889 წ. «Сѣвер. Вѣстникъ»-ში (№№ 9 და 10) ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსთაველს თვისი პოემის პირველ-სახედ აულია სპარსული მოთხრობები ნიზამის „მეჯნური და ლეილა“ და გურგანის «ვისი და რამინი». პოეტს ამ მოთხრობებით უსარგებლნია არამცთუ როგორც პირველ-სახით, არამედ სიუჟეტიც კი მთლად იმათგან აულია... საზოგადოდ, ნ. დ. აზრით, სპარსულ კულტურის სულით გაქდენტილია არამცთუ ქართული მწერლობა და ხელოვნება, არამედ ხალხური პოეზიაც. „ყველა ქართული სიმღერები, ლეგენდები, ზღაპრები ეკუთვნიან სპარსულ-არაბულ ციკლს.

არ არის არც ერთი ქართული სიმღერა, სადაც თამარამდის იქებ-იხსენიებოდეს ქართველი ყველა ქართული პოემები და რომანები თებული არიან შახ-ნამე და სხვა სპარსულ-არაბულ ნაწარმოებიდგან, მაგ. „ვისრამიანი“, „როსტომიანი“, „რუსუდანიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“ და ბოლოს თვით „ვეფ. ტყაოსანი“ (გვ. 46).

უკანასკნელ პოემაში არაფერი არ არის ქართული: არც ქვეყნის და არც გმირების სახელი. ბუნება, ზნე-ჩვეულება, ადათი, რწმენა-შემეცნება, მსოფლ-მხედველობა — სულ არაბულ — სპარსულია პოემაში. მაშასადამე ზერელე და უსაფუძლოა იმის მტკიცება, ვითომც „ვეფ. ტყაოსანში“ გამოხატული იყოს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება, ვითომც აქ დახასიათებული იყვნენ ჩვენი კუთხეების სხვა და სხვა წარმომადგენლები ან ტიპები.

ქართველებს „ვეფ. ტყაოსანი“ ქართული ეპოსი ჰგონიათ და, მაშასადამე, ქართულ გვარ-ტომობის, ინდივიდუალობის გამოხატველი მაშინ, როდესაც ქართველი ტომი ჯერ ისევ ბავშურ მდგომარეობაში იყო. ასეთი აზრი სრულებით არ არის ქართველთათვის დამამცირებელი. ხალხისათვის, რომელსაც ცუდმა გარემოებამ ნება არ მისცა ფეხი ჩაედგა მღელვარე კაცობრიობის განვითარებით რთულ ტრიალში, აქ არც სამწუხარო და არც სასაცილო რამეა ⁹⁾.

როცა ნ. დ. ამ შეხედულებამ კამათი და უკმაყოფილება გამოიწვია ქართულს ჟურნალ-გაზეთებში, მან ცოტათი შეასწორ-გააშალა შინა თვისი პესიმისტური შეხედულება. ის სწერს: წაიკითხეთ ჩემი წერილები «Сѣв. Вѣст.»-ში და დარწმუნდებით, რომ მე არსად არ მითქვამს რუსთაველის საყვედური სიუჟეტის სესხებისათვის და მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მისი თხზულება ვერ არის თავისებური და სრული, როგორც, მაგ., შექსპირის და გეოტეს თხზულებები ¹⁰⁾.

ივ. ვართაგავა.



მთის არწივი უამილი

ისტორიული ამბავი.

IV.

თავადი ვარანცოვი და დარგო. ფიცხის გულის პატრონს იმპერატორ ნიკოლოზ პირველს სწორედ გული გაუწვრილდა უამილთან დაუსრულებელის ომით და ბრძოლით. ნუ თუ

⁸⁾ იხ. „ძველი საქართველო“ 1909 წ., ტ. I, განყ. II, გვ. 68—112. ბ. აბულაძის გამოკვლევაში ყურადღების ღირსია „ვეფ. ტყაოსანის“ ძველი და უცხო სიტყვების ლექსიკონი.

⁹⁾ იხ. ჟურ. „თეატრი“ 1889 წ., №№ 39—40. გვ. 7.
¹⁰⁾ იქვე.

ერთის დაკვირვით და რიხიანის შეტევით არ შეიძლება შამილის განადგურებაო, ჰფიქრობდა იმპერატორი. ველარ აიტანა ასეთი გაჭიანურება ომისა და თვითონ შეუდგა საომარ გეგმის შედგენას. კავკასიის ახლად დანიშნულ თვის მოადგილეს გრაფ მ. ს. ვარანცოვს ასეთი ბრძანება გადასცა: „რამდენადაც მოსახერხებელია, ეცადე რომ დაამარცხო ბრბონი შამილისანი; შედი შამილის სამფლობელოს შუაგულში, გამაგრდი იქ და დამკვიდრდიო“.

მოგესხენებათ, რომ ბრძანების გაღება ძნელი საქმე არ არის, მერმე ისიც ორი ათას ვერსის მანძილიდან. საომარი გეგმა, პეტერბურგს დაწერილი, სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა ადგილობრივ ვითარებისა მართლაც მისმა განხორციელებამ კინაღამ არ ინაცვალა მოხუცებული სარდალი ვარანცოვი და მასთან ერთად მთელი რუსის მხედრობა.

გრაფ ვარანცოვს სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც ნიჭიერ სარდალს და შესანიშნავ სამოქალაქო მოღვაწეს. ამ ჰკვიან ადამიანს როგორ გამოეპარებოდა, რომ იმპერატორის გეგმის შესრულება უგუნურობა იყო, მაგრამ ვერ გაბედა უარი ეთქვა ხელმწიფისათვის-ვერ ვიკისრებ თქვენს მოადგილეობას კავკასიაში და თქვენს გეგმის შესრულებასაო. ისიც კარგად იცოდა ვარანცოვმა, რომ შამილის სამფლობელოს არც შუაგული ჰქონდა და არც ნაპირები. არწივი იმის არწივია, რომ ერთს განსაზღვრულ ადგილს არა ჩერდება და სადაც მოიპრიანებს, იქ დაიბუდებს ხოლმე. მისი სამეფო და სამფლობელო ცის სივრცეა და აბა ასეთს სამეფოს ვინ მოუნახავს ან შუაგულს, ან ნაპირებს. შამილის სამფლობელო ხან ავარია იყო, ხან საჩაჩნო; კავკასია. ხან დაღესტანი და ხან ჩრდილოდღეს რომ ავარია გვეგონა-ესაა შუაგული შამილის საბრძანებელიაო, ხვალ საჩაჩნო იქერდა ამ საპატიო სახელს

რაკი იკისრა გრაფ ვარანცოვმა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გეგმის აღსრულებაში მოყვანა, რალა გაეწყობოდა, ავი იყო იგი, თუ კარგი, საჭირო იყო დიდი სამზადისი და მომზადება. 1845 წლის გაზაფხულის პირზე ვარანცოვის ბრძანებით შეიკრიფა ხუთი ცალ-ცალკე რაზმი; საჩაჩნო-გენერალ ლიდერისასა, დაღესტნისა-თავად ვ. ო. ბებუთაშვილისა, სამურისა—თ. მ. ზ. არლუთაშვილ-მხარგრძელისა, სალევკო-გენერალი შვარცისა და ნაზრანისა-გენერალ ნესტეროვისა. ხუთივე რაზმს ერთს დროს უნდა დაეწყო მოქმედება შამილის ასაკლებად და ბოლოს მოსაღებად.

ანდიაში უნდა შექრილიყვნენ ვარანცოვის ბრძანებით რაზმები გენერალ ლიდერისა დ. თ. ბებუთაშვილისა. ლიდერისს საჩაჩნო რაზმში მოჰყვა დიდ ძალი ქართველობა, სახელდობრ ორი დრუჟინა ქართველ ქვეითა მილიციონერებისა, სულ 1000 კაცი და ხუთი ასეული ქართველ ცხენოსან

მილიციისა. მაშასადამე მარტო ლიდერისს რაზმში 1500 ქართველი მეომარი იღებდა მონაწილეობას. როგორც ეტყობა, არც თუ ქართველებს დაუჯდოდა იათად დარგოს ექსპედიცია, ანუ ლაშქრობა.

31 მაისს 1845 წ. გრაფი ვარანცოვი აბძანდა ტფილისითან ციხე-სიმაგრე ვენეზანოეში, სადაც ბანაკად იდგა გენერალ ლიდერისს საჩაჩნო რაზმი. სამხედრო სალამ-ქალამის დასრულების შემდეგ რაზმმა გადაახდევინა ჩვეულებრივი პარაკლისი და გაემართა საბრძოლველად. მ თიბათვეს გენერალი ლიდერი შეუერთდა გენერალ ბებუთაშვილის დაღესტნის რაზმს.

შამილს აბა როგორ გამოეპარებოდა რუსების მოძრაობა და ისიც შეუდგა სამზადისს. ანდიაში შესასვლელი გზები შეჰკრა მხოლოდ პატარ-პატარა რაზმებით. გეგმა შამილისა ის იყო, რომ შეეტყუებინა რუსები ანდიის შუაგულში, ჩაეკეტნა იქ და სრულებით გაეწყვიტნა, ან ისე დაემარცხებინა, რომ კარგა ხანს ფიქრად აღარ მოსვლოდათ თავბედურის ლაშქრობის დაწყობა. რაკი ასეთი გეგმა ძიილო შამილმა, ცხადია რომ არავითარ დაბრკოლებას არ გაუჩენდა ლიდერისსა და ბებუთაშვილის რაზმებს სალათავინში და დასტოვა უბრძოლველად ბარტუნაი, რომელიც ითვლებოდა სალათავის კარად.

სალათავიას გვერდზე აკრავს გუმბეთი, რომელზედაც გადადის ორი გზა ბარტუნაიდან, ანუ სალათავის კარიდან. ერთი გზა ადის კირკის უღელტეხილზე და ეშვება ძირს, ხოლო მეორე გადადის მიჩიკალზე, რუსებმა არჩიეს კირკის უღელტეხილი. თვით, გრაფ ვარანცოვმა მოისურვა თავის თვალთ ენახა კირკის უღელტეხილი და დაეთვალთვლებინა იგი. ნ იენისს მოწინავე რაზმი შეუდგა უღელტეხილს. რაზმს მისდევდა მთავარ-სარდალი ვარანცოვი, ხოლო უფროსობდა ავანგარდს მამაცი გენერალი პასსეკი.

მთელი გუმბეთის სუფრასავით წინ გადაეშალა რუსის მხედრობას, კირკის უღელტეხილზე რომ ავიდა. მომავალ ბრძოლის ველი აშკარად სჩანდა აქ, ამ უტყეო და უჩირგვო ხრიოკიან ველ-მინდორზე უნდა გადაწყვეტილიყო ბედი შამილისა.

პირდაპირ რუსის ჯარისა შამილმა დარაზმმა თვისი მხედრობა ანჩიმერის მთაზე. ანჩიმერი ანდიის შუაგული არაა და ვგონებთ, რომ შამილის აქ გაჩერება თვალთ მაქცობა იყო და მტერს თვალებს უბნებოდა.

ა. ფრონელი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.